



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

(სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

ხათუნა მაჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ნათია კოხომე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/ნ 240413165

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღის რაიონი/ ქ.წნორი, რუსთაველის 10
საფოსტო ინდექსი	4200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://rb.gy/1vna8w
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tsnori3@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	035524-36-85

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 29 მაისის ბრძანება MES 5 25 0000590289
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 23 და 24 ივნისი.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წნორი- ერთი შენობა. რუსთაველის ქუჩა N10
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წნორი- ერთი შენობა. რუსთაველის ქუჩა N10
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წნორი- ერთი შენობა. რუსთაველის ქუჩა N10

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 23 და 24 ივნისს სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და

ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, მოხდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა და დამუშავებული დოკუმენტაციის განხილვა, რის საფუძველზეც ექსპერტების მიერ განხორციელდა დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვა, შემუშავებულ იქნა შეხვედრის აქტი, რომელშიც მკაფიოდ გაიწერა ექსპერტთა ჯგუფის შესასრულებელი საქმიანობა, ფუნქციების გადანაწილება და პასუხისმგებელი პირები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. სკოლის მხრიდან იყო სრული მზაობა თითოეული სტანდარტის შესაბამისად დასმულ შეკითხვაზე მყისიერად წარმოედგინათ შესაბამისი მტკიცებულება, სკოლის მხრიდან ამგვარმა კონსტრუქციულმა მიდგომამ განაპირობა დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლა მოსწავლეთა მოზიდვის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სკოლამდელი განათლების ფარგლებში სკოლის პოპულარიზაციისთვის განხორციელებულმა ქმედებებმა. კერძოდ, სკოლას უსასყიდლოდ სკოლამდელი განათლებისთვის აქვს დათმობილი ფართი, სადაც დღეში რამდენიმე საათით იმყოფებიან სკოლამდელი განათლების ბავშვები, რომელთაც შესაძლებლობა ეძლევათ სკოლასთან დაახლოვების და სასკოლო მზაობის ჩამოყალიბების. აღნიშნული პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მოსწავლეების მოზიდვის კარგი



პრაქტიკაა. სკოლის დირექტორი გასაუბრებისას აღნიშნავს, რომ ამ ბავშვების სკოლასთან ადაპტაციის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც: მოსწავლეები ატარებენ ინტეგრირებულ აქტივობებს, მოსწავლეებთან ერთად სკოლამდელი განათლების ბავშვები მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებაში, ბავშვები ხშირად სტუმრობენ სკოლამდელი განათლების ფართის გარდა სკოლის სხვადასხვა სივრცეებს, ხდება მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია და ა.შ. აღნიშნული პრაქტიკის ძლიერ მხარედ სკოლა ასახელებს პირველკლასელ მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებისადმი როგორც მაღალი მზაობის ჩამოყალიბებას, ასევე მოსწავლეების მოზიდვას, რადგან პროგრამაში ჩართული სკოლამდელი განათლების ბავშვების უმრავლესობა აგრძელებს სწავლას აქვე - სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: -----350-----	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტსა და სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექიმის აყვანა არაუგვიანეს 2027 წლის 23 ივლისისა.
ინდიკატორი N 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი)

¹ გარდა მთელი სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



		ფუნქციონირების წესით განსაზღვრული სამედიცინო აღჭურვილობისა თუ ინვენტარის მობილიზება არაუგვიანეს 2026 წლის 23 ივლისისა.
ინდიკატორი N 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: სკოლის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის სკოლის პირველი სართულის გარდა თითოეული სართულის ხელმისაწვდომობა არაუგვიანეს 2027 წლის 23 ივლისისა.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების შესაძლებლობა ექსპერიმენტების, ცდების, დაკვირვებების გზით. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა სკოლას ჰქონდეს სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, სადაც მასწავლებლის ზედამხედველობით და უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით მოსწავლეები ჩაატარებენ ცდებს და დაკვირვებებს, რითაც განივითარებენ სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქიმიური რეაქტივები ინახებოდეს ბავშვებისგან დაცულ, დახურულ კარადაში, რადგან მათი ამგვარი განთავსება მნიშვნელოვან საფრთხეს



		უქმნის არამართო მოსწავლეების, არამედ ნებისმიერი სკოლის საზოგადოების წევრის ჯანმრთელობას. სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველყოფა 2026 წლის არაუგვიანეს 23 ივლისისა.
--	--	--

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების შესაძლებლობა ექსპერიმენტების, ცდების, დაკვირვებების გზით. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა სკოლას ჰქონდეს სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, სადაც მასწავლებლის ზედამხედველობით და უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით მოსწავლეები ჩაატარებენ ცდებს და დაკვირვებებს, რითაც განივითარებენ სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქიმიური რეაქტივები ინახებოდეს ბავშვებისგან დაცულ, დახურულ კარადაში, რადგან მათი ამგვარი განთავსება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის არამართო მოსწავლეების, არამედ ნებისმიერი სკოლის საზოგადოების წევრის ჯანმრთელობას. სკოლამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველყოფა 2026 წლის არაუგვიანეს 23 ივლისისა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სასურველია, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ვაკანსიის hr.gov.ge-ზე გამოცხადება.
ინდიკატორი N 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების	სასურველია, სკოლამ უცხო პირებისთვის აწარმოოს შემოსვლა-გასვლის ჟურნალი, რომელშიც ინფორმაცია იქნება ასახული როგორც უცხო პირის შესახებ, ასევე სკოლაში ვიზიტის მიზნის, თარიღისა და დროის შესახებ.



	სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N 3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ წერილობით მიმართოს საჯარო რეესტრის სამსახურს საჯარო რეესტრის ამონაწერში ინფორმაციის გასაახლებლად, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შეიცავს ძველ ინფორმაციას და სკოლის მიმართვის საფუძველზე მონაცემების განახლებაზე პასუხისმგებელია საჯარო რეესტრის სამსახური.
ინდიკატორი N3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ	სასურველია, სკოლამ ვებ-გვერდზე განათავსოს ქართული ქორეოგრაფიული ცეკვის წრის, როგორც დამატებითი სერვისის მიწოდების შესახებ ინფორმაცია.



	ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია გაიწეროს სასწავლო წლის განმავლობაში რა ფორმითა და ინტენსივობით მოხდება სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრა; დაზუსტდეს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული ზოგადი ჩანაწერები სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით;
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა - ქვესაკითხები და ქვეცნებები არაა საჭირო კურიკულუმში; მე-2 კლასი: მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელო; დავალების იდეაში პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე; საკითხთა კლასტერს დაერქვას ტექსტი და კონტექსტმაგალითები (კონტექსტმაგალითების გრაფაში მითითებულია საკითხი და საკითხთა კლასტერში - კონტექსტმაგალითები). შესაბამისად, შეიცვალოს გრაფების სახელები; ტექსტისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში გამოიკვეთოს



		რომელია ძირითადი ტექსტი და რომელი-დამატებითი კონტექსტმაგალითი; რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ. მე-3 კლასი: საკითხებში უნდა ეწეროს მხოლოდ ის, რაც მუშავდება დავალებში; რაც წერია საკითხებში-ტექსტები, კონტექსტმაგალითები, გადავიდეს ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში; დავალების იდეაში პირობა ჩაწერონ კრიტერიუმებამდე; რესურსებში ჩაიწეროს ბმულები, სადაც იძებნება ვიდეოები, ილუსტრაციები, ტექსტები; მე-4 კლასი: ფაქტობრივად წიგნის სარჩევს წარმოადგენს; აკლია საკითხის, დავალების პირობის გრაფები. კონტექსტმაგალითები ხან რესურსებში წერია, ხან-კონტექსტმაგალითის გრაფაში; მე-5 და მე-6 კლასები: საკითხში (კლასტერი არაა საჭირო) უნდა დაიწეროს ის, რაც წერია კონტექსტმაგალითის გრაფაში; დავალების იდეაში - დავალების პირობა ე.წ. კრიტერიუმებამდე/მითითებებამდე. მათემატიკა - სასურველია ერთი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სტრუქტურა იყოს ერთნაირი და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები. სპორტი - კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმში გახდეს მეტად ალქმადი. დაწყებითი (ზოგადი) - სასურველია, თითოეულ საგანში შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები, სადაც ჩანს გამოყენებული აქტივობები, თან ერთვოდეს კურიკულუმების ჩარჩოს. ბუნებისმეტყველების მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმის თემების გაწერისას იხელმძღვანელონ სტანდარტით; მათემატიკის პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოს დაამატონ თემების სვეტი; ქართულისა და მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოს დაამატონ რესურსები და ქვეცნებები.
ინდიკატორი 2.1.1.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი,	მათემატიკა - სასურველია კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის ონლაინ თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებებენ გაკვეთილებზე.



	უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	დაწყებითი (ზოგადი) - სასურველია, ქართულისა და მე და საზოგადოების კურიკულუმს დაემატოს რესურსები.
ინდიკატორი 2.1.1.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	დაწყებითი (ზოგადი) - სასურველია კათედრამ შეიმუშაოს დიაგნოსტიკური შეფასებების ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების რეგულარულ გამოყენებას.
ინდიკატორი 2.1.1.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხო ენები - სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. სახელმწიფო ენა - შეფასების რუბრიკების შექმნისას, მე-3 თაობის ესგ ინდიკატორების გათვალისწინებით, კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს მიაქცონ მეტი ყურადღება, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოიჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკაში ეს რჩევა მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია. მათემატიკა - სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ნაკლებად იყოს ზოგადი ხასიათის, დაზუსტდეს თემასთან და შერჩეულ დავალებებთან მიმართებაში. დაწყებითი (ზოგადი) - სასურველია, კათედრამ შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	დაწყებითი (ზოგადი) - სასურველია კათედრა შეხვედრებზე კურიკულუმების განხილვისას ორიენტირდეს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას და სისტემურობაზე
ინდიკატორი N2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების/მიღწევების შესწავლის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სკოლის მიერ დადგენილ სხვა ინტერვენციებთან ერთად



		საფეხურის ფარგლებში გათვალისწინებული იქნას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასებები;
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	დაწეებითი (ზოგადი) - იმისათვის, რომ შეფასება იყოს უფრო ობიექტური და სამართლიანი, სასურველია კათედრის ამ მიმართულებით გაძლიერებული მუშაობა, რათა მათ შექმნან უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებებსა და საკლასო აქტივობებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები, რომელიც ამავე დავალებებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს დაეყრდნობა.
ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მკაფიოდ განისაზღვროს რა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რამდენად რელევანტურია შეფასების სისტემა და ემსახურება თუ არა შედეგების გაუმჯობესების პროცესს.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მეთოდოლოგიაში კონკრეტულად აისახოს ის მექანიზმები /ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა ახორციელებს, ან სამომავლოდ გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება (მაგალითად: დაკვირვება, გამოკითხვა, კვლევა, ინტერვიუ, SWAT ანალიზი)
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია სკოლა მონაცემების შეგროვების პროცესს მიუდგეს მეტად სისტემურად, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას დაეყრდნოს სხვადასხვა წყაროებსა და რესურსებს, რათა შეფასებისას მიიღოს სრული სურათი.
ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში გაიწეროს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლამ გამოიყენოს საგანმანათლებლო სფეროში



		აპრობირებული სხვადასხვა მეთოდები: ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ანკეტირება და სხვა.
ინდიკატორი N2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დააკონკრეტოს რა ფორმითა და საშუალებებით მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, როგორ განხორციელდება დანერგვის პროცესის მონიტორინგი, შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დასახვეწად.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია გაიწეროს სასწავლო წლის განმავლობაში რა ფორმითა და ინტენსივობით მოხდება სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრა; დაზუსტდეს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული ზოგადი ჩანაწერები სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით;
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - 1.სასურველია, თითოეულ კურიკულუმს თან ჰქონდეს დართული კონკრეტული დავალების/დავალებების სამიზენე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შემუშავებული შეფასების რუბრიკა შესაბამისი კრიტერიუმებით.



		2.საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება; 3.ასევე სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი ჯგუფის სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი. სახელმწიფო ენა - მე-7 კლასი: საკითხში (კლასტერი არაა საჭირო) უნდა დაიწეროს ის, რაც წერია კონტექსტმაგალითის გრაფაში; დავალების იდეაში - დავალების პირობა ე.წ. კრიტერიუმებმადე/მითითებებამდე; იქ, სადაც მუშავდება ე.წ. შემოქმედებითი დავალება, მხოლოდ ის ცნებები იწერება, რომლებიც აქტიურდება/მუშავდება კონკრეტულ დავალებაში და არა-ყველა. მე-8 კლასი: ცნებების გრაფაში ცნებათა დასახელება იწერება ისე, როგორც სტანდარტშია მოცემული; იწერება მხოლოდ ის ცნებები, რომლებიც მუშავდება კონკრეტულ დავალებაში; დავალების იდეაში იწერება დავალების პირობა ზუსტად ისე, როგორც ეძლევა მოსწავლეს, მაგ. ილია ჭავჭავაძის ლექსების: „პოეტი“, „ჩემო კალამო“ და აკაკი წერეთლის ლექსის „ხატის წინ“ მიხედვით დაწერეთ ანალიტიკური ესე პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ. დავალების იდეაში იწერება დავალების პირობა ზუსტად ისე, როგორც ეძლევა მოსწავლეს, მაგ. ილია ჭავჭავაძის ლექსების: „პოეტი“, „ჩემო კალამო“ და აკაკი წერეთლის ლექსის „ხატის წინ“ მიხედვით დაწერეთ ანალიტიკური ესე პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ. თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები ტექსტებიდან. საკითხის გრაფაში დაიწერება - ანალიტიკური ესეს დაწერა. მე-9 კლასი: რაც წერია კონტექსტმაგალითის გრაფაში, უნდა ეწეროს საკითხის გარდაში (კლასტერი არა საჭირო); დავალების იდეაში იწერება დავალების პირობა ზუსტად ისე, როგორც ეძლევა მოსწავლეს (იხ. ნიმუში ზემოთ); იქ, სადაც მუშავდება ე.წ. შემოქმედებითი დავალება, მხოლოდ ის ცნებები იწერება,
--	--	--



		რომლებიც აქტიურდება/მუშავდება კონკრეტულ დავალებაში და არა-ყველა. მათემატიკა - სასურველია ერთი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სტრუქტურა იყოს ერთნაირი და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები. სპორტი - კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აღქმადი.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა - სასურველია კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის ონლაინ თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებდნენ გაკვეთილებზე.
ინდიკატორი N2.1.1.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების რუბრიკების შექმნისას სკოლა დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ-ის შესაბამის ინდიკატორებს და კონკრეტული დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე, რუბრიკაში მკაფიოდ განასხვავოს თითოეულ ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კომპონენტები. უცხო ენები - სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. სახელმწიფო ენა - შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკაში ეს რჩევა მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია.



		მათემატიკა - სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ნაკლებად იყოს ზოგადი ხასიათის, დაზუსტდეს თემასთან და შერჩეულ დავალებებთან მიმართებაში.
ინდიკატორი N2.2.1.2.	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების/მიღწევების შესწავლის მიზნით, საფეხურის ფარგლებში ჩატარდეს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც სკოლას ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია კათედრის წევრების შეხვედრაზე, ხშირად იქნას განხილული ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები და ამოცანები, ასევე შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდები და მათი გამოყენების პრინციპები.
ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მკაფიოდ განისაზღვროს რა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რამდენად რელევანტურია შეფასების სისტემა და ემსახურება თუ არა შედეგების გაუმჯობესების პროცესს.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მეთოდოლოგიაში კონკრეტულად აისახოს ის მექანიზმები /ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა ახორციელებს, ან სამომავლოდ გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება (მაგალითად: დაკვირვება, გამოკითხვა, კვლევა, ინტერვიუ, SWAT ანალიზი)
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია სკოლა მონაცემების შეგროვების პროცესს მიუდგეს მეტად სისტემურად, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას დაეყრდნოს სხვადასხვა წყაროებსა და რესურსებს, რათა შეფასებისას მიიღოს სრული სურათი.



ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეროვნების მრავალფეროვანი მეთოდები	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში გაიწეროს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლამ გამოიყენოს საგანმანათლებლო სფეროში აპრობირებული სხვადასხვა მეთოდები: ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ანკეტირება და სხვა.
ინდიკატორი N2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დააკონკრეტოს რა ფორმითა და საშუალებებით მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, როგორ განხორციელდება დანერგვის პროცესის მონიტორინგი, შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დასახვეწად.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია გაიწეროს სასწავლო წლის განმავლობაში რა ფორმითა და ინტენსივობით მოხდება სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრა; დაზუსტდეს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული ზოგადი ჩანაწერები სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით;
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.



ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია, თუ თითოეულ კურიკულუმს თან ექნება დართული კონკრეტული დავალების/დავალებების შეფასების რუბრიკა, რომელშიც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენებიდან გამომდინარე კრიტერიუმები. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება, მაგალითად „დავალებები შედარებისთვის“. სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას და ყველა საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო და ყველა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი. სახელმწიფო ენა - საკითხში (კლასტერი არაა საჭირო) უნდა დაიწეროს ის, რაც წერია კონტექსტმაგალითის გრაფაში; დავალების იდეაში - დავალების პირობა ე.წ. კრიტერიუმებმადე/მითითებებამდე; იქ, სადაც მუშავდება ე.წ. შემოქმედებითი დავალება, მხოლოდ ის ცნებები იწერება, რომლებიც აქტიურდება/მუშავდება კონკრეტულ დავალებაში და არა-ყველა. მათემატიკა - სასურველია ერთი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სტრუქტურა იყოს ერთნაირი და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები. სპორტი - კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აღქმადი.
ინდიკატორი N2.1.1.3	კურიკულუმითგათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	მათემატიკა - სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის ონლაინ თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებდნენ გაკვეთილებზე.



ინდიკატორი N2.1.1.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები - შეფასების რუბრიკების შექმნისას სკოლა დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ-ის შესაბამის ინდიკატორებს და კონკრეტული დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე, რუბრიკაში მკაფიოდ განასხვავოს თითოეულ ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კომპონენტები. უცხო ენები - სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით. სახელმწიფო ენა - შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკაში ეს რჩევა მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია. მათემატიკა - სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ნაკლებად იყოს ზოგადი ხასიათის, დაზუსტდეს თემასთან და შერჩეულ დავალებებთან მიმართებაში.
ინდიკატორი 2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების/მიღწევების შესწავლის მიზნით, საფეხურის ფარგლებში ჩატარდეს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც სკოლას ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სასურველია კათედრის წევრების შეხვედრაზე, ხშირად იქნას განხილული ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები და ამოცანები, ასევე შეფასების რუბრიკების შექმნის მეთოდები და მათი გამოყენების პრინციპები.



ინდიკატორი N2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	მკაფიოდ განისაზღვროს რა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რამდენად რელევანტურია შეფასების სისტემა და ემსახურება თუ არა შედეგების გაუმჯობესების პროცესს.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: მეთოდოლოგიაში კონკრეტულად აისახოს ის მექანიზმები /ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა ახორციელებს, ან სამომავლოდ გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება (მაგალითად: დაკვირვება, გამოკითხვა, კვლევა, ინტერვიუ, SWAT ანალიზი)
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია სკოლა მონაცემების შეგროვების პროცესს მიუდგეს მეტად სისტემურად, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას დაეყრდნოს სხვადასხვა წყაროებსა და რესურსებს, რათა შეფასებისას მიიღოს სრული სურათი.
ინდიკატორი N2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში გაიწეროს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლამ გამოიყენოს საგანმანათლებლო სფეროში აპრობირებული სხვადასხვა მეთოდები: ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ანკეტირება და სხვა.
ინდიკატორი N2.4.1.2	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი: სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დააკონკრეტოს რა ფორმითა და საშუალებებით მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, როგორ განხორციელდება დანერგვის პროცესის მონიტორინგი, შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დასახვეწად.



VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია კორექსონდენცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად პირველი სტანდარტი შეფასდა შესაბამისად, მეორე სტანდარტი - მეტწილ შესაბამისად, მესამე სტანდარტი - ნაწილობრივ შესაბამისად, მეოთხე სტანდარტი - შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან, დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს.

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მისიაა მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, მათი ინტელექტუალური, შემოქმედებითი, ემოციური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობა, რათა ჩამოყალიბდნენ პასუხისმგებლობის მქონე, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებული, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მქონე პიროვნებებად და შეძლონ ინკლუზიურ გარემოში თავის დამკვიდრება.

სკოლის მისიიდან გამომდინარეობს სკოლის ხედვა და ორივე კომპონენტთან თანხვედრაშია სკოლის ღირებულებები: ინკლუზიურობა; პასუხისმგებლობა და ეთიკა; პროფესიონალიზმი და თანამშრომლობა; ეკოლოგიური ცნობიერება; უწყვეტი განვითარება და ინოვაციურობა; სამოქალაქო პასუხისმგებლობა;

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის მისია და ხედვა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სივრცის შექმნას. სკოლა ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული, სასკოლო საზოგადოებაზე მორგებული ღირებულებებით, რომლებიც გულისხმობს ჯანსაღ, თანამშრომლობით, მოსწავლეზე ორიენტირებულ, ინკლუზიურ და ტოლერანტულ გარემოს შექმნას. ამ პრიორიტეტებით ჩანს სკოლის მიზანი იზრუნოს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო ატმოსფეროს შექმნაზე. სკოლის მისიიდან გამომდინარეობს ისეთი ღირებულებები (ინკლუზიურობა; პასუხისმგებლობა და ეთიკა; პროფესიონალიზმი და თანამშრომლობა – მუდმივი სწრაფვა პროფესიული

განვითარებისკენ, თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოებასთან და თემთან; ეკოლოგიური ცნობიერება ; უწყვეტი განვითარება და ინოვაციურობა; სამოქალაქო პასუხისმგებლობა), რომლებიც მეტყველებს, სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციალ-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებაში, სკოლის მხრიდან პასუხისმგებლობაზე. აღნიშნული დოკუმენტების რეალობაში ცხადყოფაზე მიუთითებს სკოლაში არსებული ფორმალური და არაფორმალური აქტივობები (მაგ. „დებატების კლუბის“ არსებობა, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა და ა.შ.).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლაში შექმნილია სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განსახორციელებლად სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N1/კ 05), რომელთა შემადგენლობაში იმყოფებიან: დირექციის, მშობელთა, მასწავლებელთა და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლები. სკოლის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ერთ-ერთი პედაგოგის განცხადება, რომელშიც იგი აცნობებს სკოლის დირექტორს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ 2024 წლის 12 ივნისს დამტკიცების შესახებ და სთხოვს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვას. სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით, მასწავლებლის ზემოხსენებული განცხადება მაღალი მოტივაციის გამოხატულების ერთგვარი მაგალითია. აღნიშნული განცხადების შემდგომ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკითხება სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების მთლიანი ციკლი. კერძოდ, საგნობრივ კათედრებზე განხილულ იქნა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი და სკოლის ფილოსოფიის შემადგენელი საკითხები, რასაც ადასტურებს საგნობრივი კათედრების შეხვედრის/სხდომის არაერთი ოქმი. სასკოლო საზოგადოების სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულობის მტკიცებულებად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვის ინსტრუმენტები, რომლებიც ყველა კლასის მიხედვითაა შევსებული და კითხვარების შინაარსი კორელირებს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებში გამოტანილ აქცენტებთან. სკოლის დოკუმენტაციაში იკითხება კითხვარებით შეგროვებული შედეგების გათვალისწინების მაგალითები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მშობლებსა და მოსწავლეებს ის გააცნეს კლასის დამრიგებლებმა, რაზეც მეტყველებს სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებული კლასის საათის თემატიკა და მშობელთა კრების ოქმები, ხოლო მასწავლებლებისთვის მისი გაზიარება მოხდა პედაგოგიურ საბჭოზე. აღნიშნული დოკუმენტი გამოკრულია სკოლის ფოიეში და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები გასაჯაროებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოკრულია სკოლის ფოიეში და გამოქვეყნებულია სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და იწოდება „სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლა“. განათლების მინისტრის 2015 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების ("ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების და საჯარო სკოლის წესების დამტკიცების შესახებ") დანართში, სკოლის სრული სახელწოდება წერია შემდეგნაირად: „სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლა“.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება (1კ/05) დანართი;
- პედაგოგის განცხადება სკოლის ფილოსოფიის გადახედვის შესახებ;
- სკოლის ფილოსოფიის საჯაროდ გაზიარების დამადასტურებელი ბმული (სკოლის ვებგვერდი);
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;



- საჯარო სკოლის წესდება;
- მისია, ხედვა, ღირებულებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დებატების კლუბის დებულება;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხდომის ოქმი N4 21.04.2025;
- კითხვარები მშობლებთან და პედაგოგებთან;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტაციაში სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელებიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებებით (N2-28 და N2-29). სტრატეგიული დაგეგმვა, წარმოდგენილია როგორც ციკლური პროცესი, რომელიც იწყება გეგმების შემუშავებით, შემდეგ, სკოლის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება მონიტორინგი და შეფასება (აღნიშნული ჩანს ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან მიმართებითაც), გათვალისწინებულია შედეგების ანალიზის წარდგენის ფორმები და მათზე რეაგირების პროცედურები. სკოლის მიერ წარმოდგენილი „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში“ დაზუსტებულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესები, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აღნიშნული დოკუმენტების თანხვედრა. მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, სკოლის დირექტორის ბრძანებით (N1/კ 05) გამოყოფილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა, რასაც აგრეთვე ადასტურებს სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ანგარიშიც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას წარმოდგენილი აქვს „სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის“ დოკუმენტი, დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით 15.04.2025 წელს. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 7 მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია მისიასთან. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული ამოცანების ასახვა, თუმცა საავტორიზაციო განაცხადის თანდართულ დოკუმენტაციაში სკოლის მიერ წარმოდგენილ უკვე შემუშავებულ და დამტკიცებულ სტრატეგიულ გეგმაში არ იკითხება სტრატეგიული ამოცანები, ამიტომ ავტორიზაციის პროცესში განსაზღვრული ვიზიტისას, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ, სკოლაში მატერიალურ დოკუმენტად არსებული სტრატეგიული გეგმის ხელახალი შესწავლა მოხდა. აღმოჩნდა, რომ სკოლის სტრატეგიულ გეგმას თან ერთვის სტრატეგიული ამოცანებიც. ასევე, ორგანიზაციამ სტრატეგიული გეგმის სრული დოკუმენტი გამოგზავნა საავტორიზაციო ვიზიტის დღეს. ადმინისტრაციასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, არსებული მდგომარეობის შეფასების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების, სტრატეგიული მიზნების ფორმულირების დროს სასკოლო საზოგადოება მაქსიმალურად იყო ჩართული, რაც აგრეთვე დასტურდება: სკოლის მხრიდან სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებით, ამავე ჯგუფის ანგარიშის დოკუმენტებით, პედაგოგის განცხადებით (მიმართავა დირექციასთან სკოლის ფილოსოფიის,

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გადახედვასთან დაკავშირებით), მშობლებისა და პედაგოგების შევსებული კითხვარებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას სკოლის სამოქმედო გეგმა ერთწლიანია. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და მოიცავს კონკრეტულ, დროში გაწერილ შესრულებად აქტივობებს. მასში მოცემულია მისიისა და ხედვის შესაბამისი მიზნები, ამოცანები, რესურსები. განსაზღვრულია ვადები და პასუხისმგებელი პირები. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა თავსებადია სტრატეგიული გეგმის ამოცანებთან. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმებიდან ჩანს, რომ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს (SWOT-ანალიზის საფუძველზე) და თვითშეფასებას ახდენს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის მიერ წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის, სტრატეგიული მიზნებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები, გაზომვადი ინდიკატორები.

სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებლობა დელეგირებულია სასკოლო საზოგადოებაზე, რაც მეტად რეალისტურს ხდის სკოლის მიერ დაგეგმილ აქტივობებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (ბრძანებ 2-28);
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (ბრძანება 2-29);
- სკოლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება 2-30);
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება N1/კ 05;
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის ანგარიში;
- კითხვარები მშობლებთან და პედაგოგებთან;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრულია ორჯერ (გეგმის განხორციელების შუაში და ბოლოს). სამოქმედო გეგმის გეგმიური მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება წელიწადში ერთხელ (ივნისი) და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულია არაგეგმიური მონიტორინგიც. მონიტორინგის კოორდინატორად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი და შეფასების ორი ალტერნატიული გზა, რომელიც წარმოდგენილია უწყვეტი/ციკლური სახით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლას სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება გაწერილი აქვს, როგორც მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში, ასევე სტრატეგიული

განვითარების გეგმაში. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამიტომ უკვე ჩატარებული მონიტორინგის მტკიცებულებები თუ შედეგები ავტორიზაციის ვიზიტის დროს პროცესში სკოლას ჯერ არ გააჩნდა, რადგან სკოლის მიერ მონიტორინგის ჩატარების ვადად დასახელებულია ავტორიზაციის ვიზიტის შემდგომი პერიოდი. კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია მიმდინარე წლის 15 აპრილს და სკოლა მიმდინარე წლის ივლისის ბოლოს ემზადება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების განხორციელებისთვის, რომლის ძირითადი პროცესების წარმმართველად დასახელებულია სკოლის დირექცია. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, სკოლის დირექტორთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სკოლას დაწყებული და წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ციკლის შესაბამისი პროცესები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის დასასრულ დაგეგმილი აქვს სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, რომლის ფარგლებში დასახელებული დაგეგმილი აქტივობები შეესაბამება სკოლის სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტში აღწერილ მექანიზმს. სკოლის დირექცია ასახელებს პროცესებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას, რათა მრავალმხრივად დაინახოს შეფასების შედეგები, რომელიც სკოლის მენეჯმენტს მისცემს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ, ამიტომ შეფასების პროცესის ერთ-ერთ მთავარ განმახორციელებლად სკოლა ასახელებს სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფს. სკოლა იაზრებს, რომ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და აპირებს მოგროვილი ინფორმაცია გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

საგანმანათლებლო დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია მიმდინარე წლის 15 აპრილს, ამიტომ სკოლას არ ჰქონია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების შეფასების პრაქტიკა. სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი ვადების და ინსტრუმენტების გამოყენებით სასწავლო წლის ბოლოს, ივნისში განხორციელდეს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად შეგროვებული მონაცემებით, მტკიცებულებებით, ანალიზით, დაიწერება და გასაჯაროვდება მონიტორინგის ანგარიში სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალურ ქსელსა თუ მშობლებთან, წლის დასაწყისში, დამრიგებლების მეშვეობით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

საგანმანათლებლო დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია მიმდინარე წლის 15 აპრილს, ამიტომ სკოლას არ ჰქონია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენების პრაქტიკა. სკოლის დირექტორთან გასაუბრებიდან იკითხება მზაობა, რომ სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში საფუძველი იქნება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმისათვის და ახალი სამოქმედო გეგმა იქნება სტრატეგიული 7 წლიანი გეგმის ნაწილი. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ჯერ სკოლას არ ჰქონდა განხორციელებული, თუმცა ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს ორგანიზაციამ გაუზიარა გასული წლების პრაქტიკა, როდესაც დაკვირვების და პედაგოგების მიერ დასახელებული გასაუმჯობესებელი მიმართულებების მიხედვით სამოქმედო გეგმაში სკოლას ცვლილებები შეუტანია სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 5. ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ(N2-28);
- 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში მკაფიოდაა განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობა. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს მიეკუთვნება: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლაში დასაქმებულია: საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 2 სპეციალური მასწავლებელი, 3 სსსმ მოსწავლის ასისტენტი, ცეცხლფარეში, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი. სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები რეგულირდება კანონით ზოგადი განათლების შესახებ, ასევე სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული წესით. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების/პირების შემადგენლობა, ფუნქცია-მოვალეობები, უფლებები და სამუშაო აღწერილობა სკოლას თვითშეფასების დოკუმენტში დაწვრილებით წარმოდგენილი აქვს, რისი ჭეშმარიტებაც დასტურდება მტკიცებულებით ბრძანება 2-37 საჯარო სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს მიეკუთვნება: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის 448-ე ბრძანების მიხედვით.

სკოლაში ფუნქციონირებს შვიდი საგნობრივი კათედრა: დაწყებითი კლასების, ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენის, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის, რომელთა

ფუნქციები გაწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ კათედრის დებულებაში. პედაგოგიური საბჭოს მიერ 2014 წლის 13 სექტემბრის N5 სხდომაზე დამტკიცებულია კათედრის დებულება, რომლის მიხედვითაც კათედრები ყოველწლიურად ირჩევენ თავმჯდომარეს, კათედრების ფუნქციებია: საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების კოორდინირება, საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობა, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, სახელმძღვანელოების შერჩევა, ზრუნვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხარისხის უზრუნველყოფაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე). ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლა და ვიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებები ცხადყოფს, რომ სკოლაში არის პასუხისმგებლობების გადანაწილებაზე და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი კულტურა. უფლება-მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა ზემოხსენებული გადანაწილება სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი (ბრძანება N 2-37);
- საშტატო განრიგი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი;
- შინაგანაწესი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- ბრძანებები ფუნქციების დაკისრებაზე;
- თანამშრომელთა სია, EMIS-Teachers-23-06-2025;
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N 2-13), რომლის მიზანია, უზრუნველყოს დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან, დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან შესაბამისობით, ასევე, შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. სკოლაში მართვის პროცესები ხორციელდება სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით. ასევე, პროცესები წარმართულია აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე სკოლასა და სკოლაში დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების და შინაგანაწესის შესაბამისად. რეგულაციები ეყრდნობა და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი სადაც, პრევენციის მიზნით მკაფიოდაა გაწერილი კვალიფიციური კადრების მოზიდვა, შერჩევა, შენარჩუნება; ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც მასწავლებელს, გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო, არ შეუძლია აცნობოს სკოლას გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, ინტერვენციის მიზნით, სკოლა იღებს შესაბამის ზომებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ჩანაწერის შესაბამისად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურებით, რაც გულისხმობს კვალიფიციური კადრების მოზიდვას და შენარჩუნებას. ვაკანტური ადგილის დასაკავებლად სკოლის მიერ კონკურსის გამოცხადება ხდება ვაკანსიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.teacherjobs.ge), სადაც გაწერილია სკოლის მიერ

განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კომისიის შემადგენლობა. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით. საკონკურსო კომისია კვალიფიკაციის და სხვა გაწერილი მოთხოვნების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის შერჩევის შესახებ. შერჩეულ კანდიდატთან დირექტორი აფორმებს შრომითი ხელშეკრულებას. კონკურსის შემთხვევაში გაფორმებულია შესაბამისი ოქმები, რომელთა ნიმუშების შესწავლაც მოხდა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში. თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა”, სადაც ყველა პოზიციისთვის აქვს გაწერილი ერთიანი მიდგომა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით. ადამიანური რესურსების და პერსონალის მართვის სხვა დოკუმენტებშიც არის წარმოდგენილი მოქმედი საშტატო ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საავტორიზაციო ვიზიტისას სკოლამ წარმოადგინა ბუღალტერის აყვანის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად არასაშტატო ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც, რომელიც გაწერილია სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობაში. პირად საქმეებში თანამშრომლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ნარკოლოგიური აღრიცხვის, პირის მსჯავრდებისა და ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. ადგილზე ვიზიტისას პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია როგორც ხელშეკრულებებში, ისე ვაკანსიების განაცხადებში. სკოლის კადრთან დადებული ხელშეკრულებები გატარებულია ე.წ. ხელშეკრულების ჟურნალში. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის ხელშეკრულება: 1) უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება; 2) წამყვანი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება. 3) მენტორი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება 4) უფროსი სპეციალური მასწავლებლის ხელშეკრულება. ასევე, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ მატერიალური ფორმით შენახული კადრის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა.

სკოლის მასწავლებლების საათობრივი დატვირთვისა და კადრის კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლიდან ირკვევა, რომ სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, გარდა მისი საკვალიფიკაციო შესაბამისობის საგნებისა, დატვირთულია სხვა საგნობრივი ჯგუფის, მუსიკის 2 საათით. სკოლა აღნიშნულ ფაქტს ხსნის ესთეტიკის კათედრაზე სხვა მასწავლებლების საათობრივი დატვირთვით და ამავე მასწავლებლების სურვილით (არ სურდათ აღნიშნული 2 საათი).

გადამოწმდა სკოლის ვაკანსიების დადების ისტორია, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ საათებზე არ ყოფილა გამოცხადებული ვაკანსია. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას** სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, რადგან დაწყებითი კლასის მასწავლებელი გარდა საკუთარი საკვალიფიკაციო შესაბამისობის საგნებისა დატვირთული იყო სხვა საგნობრივი ჯგუფის (საგან მუსიკის 2 საათით) საგაკვეთილო საათებით. **სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას** დაწესებულებამ აღნიშნული საკითხის გათვალისწინების მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის 24-27 ივნისის ფარგლებში დაგეგმა სკოლაში აღნიშნული საათების განაწილება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებზე. ასევე, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი (2025 წლის 27 ივნისი), რომლის თანდართულ 2025-2026 სასწავლო წლის საათურ ბადეშიც მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტი, მუხლი 2) და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება N2 -37, პუნქტი 17.3). ავტორიზაციის პირველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სკოლას აღნიშნული ფაქტი გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, რომლის შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობაში ასახელებს, რომ „პრობლემის მოსაგვარებლად სკოლის ექიმი უკვე დარეგისტრირდა ევექსის კლინიკათა ქსელის ოჯახის ექიმად გადამზადების სასწავლო პროგრამაზე“ და დასრულების თარიღად განსაზღვრული აქვს 2027 წლის 1 მაისი. ამასთან, სკოლის ექიმის ვაკანსია საავტორიზაციო ვიზიტამდე პერიოდში სკოლაში არ გამოუცხადებია, თუმცა 2025 წლის 24 ივნისს (ავტორიზაციის ვიზიტის მეორე დღე) სკოლამ მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ-გვერდზე (teacherjobs.ge) განათავსა სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული განცხადება, რომელშიც ასახულია კანონმდებლობის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას მიეცეს რეკომენდაცია: სასურველია, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ვაკანსიის hr.gov.ge-ზეც გამოცხადებაც.

რადგან, სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ პასუხობს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტსა და სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ

აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს რდეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტსა და სსიპ-სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სკოლის ექიმის აყვანა არაუგვიანეს 2027 წლის 23 ივლისისა. ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლაში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლების ჩართულობას, გუნდურობას, პასუხისმგებლობათა გადანაწილებას, უფლებათა დელეგირებას, რაც დგინდება სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით. საგნობრივი კათედრის წევრები ჩართულები არიან როგორც კურიკულუმის შემუშავების პროცესში ასევე, გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სასკოლო სხვადასხვა აქტივობებს (მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სასკოლო პროექტებიდან კარგად ჩანს). სასკოლო საზოგადოების წევრთა ინიციატივების, წინადადებების, საჭიროებების განხილვა და შერჩევა ხდება პედსაბჭოზე, კათედრებზე, თვითმმართველობის სხდომებზე, მშობელთა კრებებზე. ინიციატივები ასევე მხარდაჭერილია სკოლის დირექციის მიერ. სკოლა ჩართული იყო „USAID –ის საბაზისო განათლების პროგრამა“-ში, სკოლას ჰყავს ლიდერი მასწავლებლები, რომლებიც ესწრებოდნენ ქოუჩინგის ტრენინგებს და მიღებულ გამოცდილებებს უზიარებდნენ კოლეგებს. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მაგალითად, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ მასშტაბურ ღონისძიებაზე, სკოლამ წარადგინა პედაგოგი, რომელსაც მიენიჭა „ღვაწლმოსილი პედაგოგის სტატუსი“. 2024 წელს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი გადაწყვეტილებით კვლავ წარადგინა მასწავლებელი „წლის პედაგოგის“ სტატუსზე. სასწავლო დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი ჯილდო თუ სხვა მტკიცებულება მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა სკოლის გარე (ადგილობრივ და საერთაშორისო) ღონისძიებებსა თუ კონკურსებში მონაწილეობის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოების, საგნობრივ კათედრების, მრჩეველთა საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, კლუბების მუშაობის, დისციპლინარული კომიტეტის მუშაობისას გუნდურობისა და სკოლის საჭიროებაზე მორგებულ პრაქტიკას. ავტორიზაციის პროცესში, სკოლაში ვიზიტისას,

გასაუბრებები და სკოლის დოკუმენტაციის შესწავლა ცხადყოფს, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართული, როგორც თვითშეფასების პროცესში ასევე, სკოლის ფილოსოფიის შემუშავება-გაზიარებასა თუ სხვა მმართველობით საორგანიზაციო საკითხებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის თანამშრომელთა წახალისების სახეები და მექანიზმები ასახულია სკოლის შინაგანაწესში. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის სკოლას აქვს წახალისების პრაქტიკა, როგორიცაა: მადლობა, სიგელით დაჯილდოვება. შინაგანაწესში აღნიშნული ჩანაწერის პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა ცეცხლფარების „მადლობის“ გამოცხადების შესახებ ბრძანება. სკოლის თანამშრომელთა, ასევე მოსწავლეთა წარმატებებისა და წინსვლის დამადასტურებელი დოკუმენტები/ სიგელები განთავსებულია სკოლის სივრცეში. სკოლას აქვს სოციალური გვერდი, სადაც ქვეყნდება ყველა ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, ასე ხდება ერთის მხრივ, წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და ამავე დროს ქვეყნდება ინფორმაცია მოსწავლეთა თუ პედაგოგების წარმატებების შესახებ (მაგალითად, პროექტებსა და კონფერენციებში მონაწილეობა, კლუბური მუშაობა და სასკოლო ღონისძიებებისა და კონკურსების ამსახველი მასალები).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძანება N 2-13);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- კონკურსის პროცედურები დანართი;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი(ბრძანება N 2-37);
- თანამშრომლის დანიშვნის ბრძანება;
- შინაგანაწესი;
- ვაკანსიების საკონკურსო დოკუმენტაცია;

- სასკოლო სასწავლო გეგმა (საათობრივი დატვირთვა);
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- თანამშრომელთა სია, EMIS-Teachers;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები;
- „მადლობის“ ბრძანება N2-31 15.04.2025
- სასკოლო ინიციატივები;
- სკოლის სოციალური გვერდი;
- სსიპ - ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 (27 ივნისი 2025 წელი).

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის მუშაობის შეფასების წესი (ბრძანება N 2-34) და პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი (ბრძანება N2-37), რომლის მიხედვითაც ახდენს პერსონალის შეფასებას და განსაზღვრავს მათი პროფესიული განვითარების საჭიროებებს. პერსონალის მართვის პოლიტიკა და სისტემა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. პერსონალის მხარდაჭერის მიზნით, სკოლის დირექცია კათედრის წარმომადგენელთან ერთად ესწრება გაკვეთილებზე, შემდეგ ხდება უკუკავშირი წინასწარ შედგენილი ურთიერთდასწრების ფორმის მეშვეობით. პედაგოგის მხრიდან ხდება თვითშეფასებაც და საკუთარი პრაქტიკის რეფლექსია. გარდა მასწავლებლის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებისა სკოლის თვითშეფასებასა და ავტორიზაციის ვიზიტის დროს გასაუბრებიდან იკითხება მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინონ სკოლაში სხვა დასაქმებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, რომელთა მოკვლევასაც სკოლა სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით გეგმავს. თვითშეფასებაში სკოლის მხრიდან გამოთქმული მოსაზრების რეალისტურობასა და მზაობაზე მეტყველებს სკოლის მხრიდან წარმოდგენილი პერსონალის მუშაობის შეფასების წესის მტკიცებულება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად
სკოლის დირექტორთან გასაუბრებით იკვეთება სასკოლო პერსონალის საჭიროებისა და შესაბამისი დახმარების გაწევის დაკვირვებაზე დაფუძნებული მექანიზმი. სკოლამ წარმოადგინა პროფესიული და კარიერული წინსვლისთვის საჭირო ტრენინგებში, შეხვედრებში, ვებინარებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობის მაგალითებთან ერთად ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საჭიროებების დადგენისა და მხარდაჭერის წარმატებული პრაქტიკაც (მაგ., დირექტორის, ბუღალტრის), ამიტომ ამ ეტაპზე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლას გაწერილი თუ აქვს მხოლოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებები, მომავალი სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების საჭიროებების ასახვასაც აპირებს. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის ფუნქციონირება, რაზეც მეტყველებს მასწავლებლების თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ციკლის დამადასტურებელი მტკიცებულებები (გაკვეთილის გეგმა, რეფლექსია, რეკომენდაციები).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, რაც გამოიხატება ტრენინგებსა და კონფერენციებში მონაწილეობით, საგნობრივი კომპეტენციის დადასტურებით. მაგალითად, სკოლის დაწყებითი განათლების ლიდერი მასწავლებლები აქტიურად ესწრებოდნენ USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებს, რომელიც ტარდებოდა თანამედროვე სწავლების სხვადასხვა თემატიკაზე. ლიდერი მასწავლებლები მიღებულ ინფორმაციას უზიარებენ სკოლაში მომუშავე კოლეგებს. მათგან ერთმა პედაგოგმა ტრენინგურის წარმატებით გავლის შემდეგ მოიპოვა სერტიფიკატი და უფლება ახალი სკოლის მოდელის ექსპერტის ფუნქციების შესასრულებლად. მიმდინარე წლის მარტის თვეში ტრენინგები გაიარეს სკოლის დირექტორმა და ბუღალტერმა. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა ჩაერთო პროექტში „დებატები უკეთესი განათლებისთვის“. სკოლაში ხდება მასწავლებელთა წახალისება, მიმართავენ ურთიერთდასწრების, კრიტიკული მეგობრის, კათედრებზე საკითხის განხილვის მექანიზმს, ერთმანეთს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებებს. აღნიშნული პრაქტიკა დასტურდება, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას, ასევე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი, რაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, შინაგანაწესითა და სასკოლო კოლეგიალური კულტურით. მაგალითად, მასწავლებელს რომელსაც სჭირდება რაიმე სახის რესურსი, კოლეგები აქტიურად ეხმარებიან რესურსების მოძიებასა თუ შექმნაში. სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. მაგალითად, 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა შეივსო ახალი კადრებით: ბუღალტერი, დამლაგებელი, სსსმ მოსწავლის ასისტენტი. რომელთაც, პირველ რიგში, გაეცნოთ სკოლის შინაგანაწესი; შემდეგ სკოლის დირექტორმა ჩაატარა შეხვედრა და კოლექტივს წარუდგინა ახალი კადრები; ახალი თანამშრომლები დაემატნენ სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებს. სკოლის კადრთან გასაუბრებებით მტკიცდება, რომ სკოლა დაეხმარა ახალ კადრებს, გაცნობოდნენ დამკვიდრებულ წესებსა და ტრადიციებს, რათა სწრაფად მომხდარიყო მათი შეგუების პროცესი, ანუ სოციალიზაცია, რომლის პროცესშიც დიდი როლი ითამაშა როგორც დირექციის მხრიდან განხორციელებულმა ქმედებებმა ასევე თანამშრომლობითმა კულტურამ. მაგალითად, სპეციალური მასწავლებელი სკოლაში მუშაობის დაწყებისას,

ინტეგრაციის მთავარ ხელშემწყობად ასახელებს რესურს ოთახში მომუშავე კოლეგების მიერ გაწეულ დახმარება-ფასილიტაციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია. სკოლას აქვს მასწავლებლების, მოსწავლეებისა თუ სხვა პერსონალის ინიციატივების წახალისების პრაქტიკა. მაგალითად, კათედრების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს მასწავლებლებს სხვადასხვა ტიპის რესურსით. სკოლას აქვს შესყიდვების გეგმა. მაგალითად, სპეციალური მასწავლებლების ინიციატივით რესურს ოთახისთვის სკოლამ შეიძინა საკანცელარიო ნივთები და ხის განმავითარებელი რესურსები. სკოლის სამოქმედო გეგმა და განხორციელებული პროექტები მოწმობს სკოლაში მშობელთა, მოსწავლეების, მასწავლებლების, ექიმისა თუ სხვა დასაქმებული კადრის ინიციატივების მიმართ ღიაობაზე, მხარდაჭერასა და წახალისებაზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის მუშაობის შეფასების წესი(ბრძანება N2-34);
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი(ბრძანება 2-37);
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმა;
- მასწავლებელთა გეგმები/თვითშეფასებები/რეფლექსიები/რეკომენდაციები;
- მასწავლებლის სერტიფიკატი;
- განხორციელებული პროექტები;
- შესყიდვების გეგმა;

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლაში, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, შექმნილია დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, სადაც პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში იკვეთება პროცესული მიდგომა. სკოლის მართვის პროცესში ჩართულია სკოლის ყველა სტრუქტურული რგოლი. სკოლის საგანმანათლებლო ამოცანებია: უზრუნველყოს და განავითაროს ხარისხიანი განათლება სწავლების ყველა საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განმტკიცებით; განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება პედაგოგიური პერსონალის ინტელექტუალური და ემოციური რესურსებით; გამოიყენოს სწავლების თანამედროვე და აღიარებული მეთოდები. აღნიშნული მიზნისა და ამოცანების მისაღწევად აუცილებელ პირობად სკოლას სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების სწორად დაიგეგმვას ასახელებს. გააზრება იმისა, რომ შესაძლოა გარკვეულმა

ფაქტორებმა შეაფერხოს ხარისხიანი მუშაობის პროცესი, ჩანს სკოლის მიერ შექმნილ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში, რომელშიც გათვალისწინებულია მისი დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სკოლისშიდა დოკუმენტებში: სასკოლო სასწავლო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, საქმისწარმოების წესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სხვა. სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს საჯარო სკოლის „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ამავე დოკუმენტში გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები, რეგულაციები, განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის მოადგილე), რომელიც სასწავლო წლის დაწყებისთვის წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. გარდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის/ჯგუფისა პროცესებში ადმინისტრაციისა და კათედრების აქტიურად ჩართულობა ჩანს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლამ წარმოადგინა სკოლის შინაგანაწესი, მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მშობელთან ურთიერთობის წესი, სკოლაში შექმნილი საჩივრების განხილვის შიდა მექანიზმი - ბრძანება სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ (ბრძანება N2-20), სადაც გაწერილია საჩივრის მიღებისა და განხილვის პროცედურები, მშობლებთან ჩატარებული კრების ოქმი. აღნიშნული დოკუმენტაცია მოწმობს, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილი გასაჩივრების შიდა წესი, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სადამრიგებლო პროგრამა და კლასებში ჩატარებული სადამრიგებლო კრების ოქმები ცხადყოფს სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლის და მშობლის /კანონიერი წარმომადგენლისთვის მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობაზე. ასევე, მშობელი ეცნობა სკოლის შინაგანაწესს და მოსწავლის ეთიკის კოდექსს.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. სკოლის დირექცია საჩივარზე რეაგირებას ახდენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“ შესაბამისად. შინაგანაწესი, სკოლის თანამშრომლებთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ჩანაწერს, რომ მასწავლებელს, აგრეთვე მშობელს და მოსწავლეს უფლება აქვთ, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და არამართლზომიერი ქმედებები, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში არჩეულია დისციპლინური კომიტეტი და ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომების შესახებ გადაწყვეტილების სამეურვეო საბჭოში გასაჩივრებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. სკოლაში მუშაობენ მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები. სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებები ეფუძნება კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ბავშვთა უფლებების კონვენციას, დირექტორის, მასწავლებლის და მოსწავლის ეთიკის კოდექსს. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირისთვის არის დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც ჩაწერილია ორივე მხარის უფლებები და მოვალეობები. სკოლაში სასკოლო საზოგადოების ინტერესებს იცავს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და მისი შესრულება ყველასთვის სავალდებულოა. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი. აღნიშნული დოკუმენტებით რეგულირდება მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები, ვალდებულებები და გასაჩივრების პროცედურები, რომელთა სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა-ხელმისაწვდომობა დასტურდება, როგორც მშობელთან ხელშეკრულების დადებით, ასევე წლის დასაწყისში ჩატარებული კრების ოქმებითა და სადამრიგებლო საათის შინაარსით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი(ბრძანება N-18);
- ვერიფიკაციის მექანიზმი(ბრძანება N2-33);
- შინაგანაწესი;
- მოსწავლის მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მშობლებთან ჩატარებული კრების ოქმები;
- სამეურვეო, პედაგოგიური, მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას და უკუკავშირის მიღებას ახდენს სხვადასხვა მექანიზმებით: კითხვარებისა და ანკეტების საშუალებით (რომელიც სკოლამ, თითოეული კლასის მაგალითზე, უკვე შევსებული მატერიალური სახით, წარმოადგინა საავტორიზაციო ვიზიტისას), მშობლებთან კომუნიკაცია ხდება დამრიგებლების მეშვეობით, ელექტრონული ჟურნალების, ვებგვერდის, ფეისბუქ გვერდის, საინფორმაციო დაფის საშუალებით. სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მშობლებისაგან მიღებულ უკუკავშირზე ხდება შესაბამისი რეაგირება. სასკოლო საზოგადოება გასაუბრებისას ასახელებს და მტკიცებულებებად წარმოადგენს თვითმმართველობასთან შეხვედრის, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმს, სადაც სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებით ინფორმირების მაგალითები იკითხება. ასევე დამრიგებლების მიერ ხდება მშობლებთან კომუნიკაცია ტელეფონით, თიმისის პლატფორმით, მესენჯერის სასაუბროთი, მშობლებთან პერიოდული შეხვედრებით, მშობელთა კრებებით, სადაც ხდება სკოლაში დაგეგმილი სიახლეების გაცნობა. ყოველი კვირის ბოლოს- პარასკევ დღეს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობელთა ვიზიტი, სადაც 13 საათიდან 17 საათის ინტერვალში მშობლებს შეუძლიათ შეხვდნენ მასწავლებლებს, დირექციას და სკოლის პერსონალს. თუმცა საჭიროების შემთხვევაში დირექციასთან, კლასის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან შეხვედრა წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე მშობელს შეუძლია კვირის ნებისმიერ დღეს. სკოლასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ძალიან ხშირია სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებულ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით მშობელთა უკუკავშირი, რომელთა

გათვალისწინების მტკიცებულებებიც სკოლამ ავტორიზაციის ვიზიტის დროს გასაუბრებებზე წარმოადგინა. მშობელთა ინიციატივები გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების პროცესის დასაგეგმად თუ არაფორმალური აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის ადმინისტრაცია მიმდინარე წელს მოსწავლისა და მშობლისგან მიღებულ უკუკავშირის წარმატებულ პრაქტიკად ასახელებს, ამიტომ იგეგმება სკოლაში განთავსდეს „წინადადებების და შენიშვნების“ სპეციალური ყუთი, სადაც მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შეეძლებათ ანონიმურად გამოხატონ თავიანთი აზრი და მიაწოდონ დირექციას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში არსებობს კოლეგიალური ორგანოები: პედაგოგიური, მრჩეველთა და სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი პედაგოგიური, მრჩეველთა და სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა საერთო კრების, დისციპლინური კომიტეტის ოქმებიდან იკითხება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, როგორც სამეურვეო საბჭოს წევრი მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში, ასევე მონაწილეობას იღებს სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებაში. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა დასტურდება სკოლის ფილოსოფიის შემუშავება განხორციელებისა და სტრატეგიულ დაგეგმარებაში, თვითმმართველი ორგანოს არჩევასა თუ სხვადასხვა სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამები;
- მშობლის კითხვარი/ანკეტები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;



- სკოლის სოციალური გვერდი;
- საინფორმაციო დაფა;
- მშობლებთან კრების ოქმი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი;
- სკოლის ვებ-გვერდი;
- ელექტრონული ჟურნალი;
- მშობლებთან ურთიერთობის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭო არჩევა (ოქმი);
- მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა (ოქმი);
- დისციპლინარული კომიტეტის არჩევა (ოქმი);
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლა მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად შემდეგნაირად მუშაობს:

-უსაფრთხოების დაცვის პროცედურა და მექანიზმი სკოლაში რეგულირდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და სკოლის დირექტორის ბრძანებით „სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოებისა და პროცესების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ (ბრძანება N2-12), რომლის მიხედვითაც სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგზე პასუხისმგებელია მანდატური და დირექცია. ხოლო, სკოლის შენობის დაცვის უზრუნველყოფისთვის განსაზღვრულია სკოლის დარაჯი (სკოლას ჰყავს 2 დარაჯი). სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილია და ფუნქციონირებს სკოლის მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სკოლის დირექტორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დასვენებებზე ყველა სართულზე მორიგეობენ მასწავლებლები; სამასწავლებლოში, სართულებზე და შემოსასვლელში გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი; სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის პერიმეტრისა და სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლა შემოღობილია, სკოლის ეზო ახლად რეაბილიტირებულია. სათვალთვალო კამერები განლაგებულია როგორც სკოლის შიგნით, ასევე გარე პერიმეტრზე. სულ 16 კამერა(4 ეზოში, 12 სკოლის შიდა პერიმეტრზე.) ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 2 თანამშრომლის მიერ. საგაკვეთილო პროცესში სკოლაში უცხო პირების შემოსვლა-გასვლას უზრუნველყოფს მანდატური, რომელიც უცხო პირების სკოლაში დაშვებას

დირექციასთან კომუნიკაციის შემდგომ ანხორციელებს. ორგანიზაცია დოკუმენტურად არ აღრიცხავს სკოლაში უცხო პირების ვიზიტებს (არ ატარებს ვიზიტორის მონაცემებს, სტუმრობის მიზანს და ა.შ. შესვლა-გასვლის ე.წ. ჟურნალში);

სკოლას მიეცეს **რჩევა**: სასურველია, სკოლამ უცხო პირებისთვის აწარმოოს შემოსვლა-გასვლის ჟურნალი, რომელშიც ინფორმაცია იქნება ასახული როგორც უცხო პირის შესახებ, ასევე სკოლაში ვიზიტის მიზნის, თარიღისა და დროის შესახებ.

-სკოლას აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან;

-სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა სართულების მიხედვით. გამოყოფილია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების პერიოდში სკოლას არ გააჩნდა სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომლის შესრულებაც გატანილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმაში. ხოლო, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ უკვე შესაბამისობის გეგმის მიხედვით შესრულებული სახით, მატერიალურადაც წარმოადგინა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობის სახანძროს უსაფრთხოების შესაბამისობის შესახებ სკოლის მიმართვის წერილი და გამოგზავნა, როგორც ვიზიტის დროს დამატებით დოკუმენტაციად/მტკიცებულებად;

-სკოლას აქვს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული, შენობის მდგრადობის დასკვნა, რომელშიც იკითხება შემდეგი: “სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორში მდებარე N3 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა შეუსაბამოა სეისმომდეგი მშენებლობის ნორმებთან. არსებული მდგომარეობით შენობის ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი, თუმცა საჭიროა გადაუდებლად იქნას აღმოფხვრილი კვლევით ნაწილში მითითებული შენიშვნები.”

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლის შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს სკოლის ერთი ექიმი. საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში, ავტორიზაციის ექსპერტების მიერ, სკოლის ვიზუალური დათვალიერების დროს სამედიცინო კაბინეტის ინვენტარისა და აღჭურვილობის გადამოწმება მოხდა. აღმოჩნდა, რომ სამედიცინო კაბინეტს აკლია: კომპიუტერი, საათი, სიმაღლის საზომი, ხელის სანათი, კისრის ფიქსატორი, ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი. სკოლის ექიმმა შევსებული სახით წარმოადგინა „სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი“, თუმცა აღნიშნული დოკუმენტის გარდა სამედიცინო

კაბინეტში სხვა დოკუმენტაციის წარმოება არ მიმდინარეობს, მაგალითად, სკოლის ექიმი არ აწარმოებს „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას“, „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას“ და ასახელებს რომ ვადაგასული მედიკამენტის ხმარებიდან ამოღება თუ ახალი მედიკამენტის საჭიროების დირექციასთან მიწოდება და ყველა ის პროცესები რაც აღნიშნულ დოკუმენტებში აღირიცხება მიმდინარეობს ზეპირსიტყვიერად. დოკუმენტაციის შესწავლის, ექიმის კაბინეტის დათვალიერებით და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას არ აქვს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული სამედიცინო აღჭურვილობისა თუ ინვენტარის ნაწილი. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს რდეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს წარმოადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით განსაზღვრული სამედიცინო აღჭურვილობისა თუ ინვენტარის მობილიზება არაუგვიანეს 2026 წლის 23 ივლისისა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა იცავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს“. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლის ეზოში და სამივე სართულზე საზოგადოების წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი და მანდატურის სამსახურის თანამშრომელი. სკოლაში, სართულებზე განთავსებულია მანდატურის სამსახურის, 112-ის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის და სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ტელეფონის ნომრები. სკოლაში ნებისმიერი პირის შემოსვლას აკონტროლებს მანდატურის სამსახური. სკოლაში სისტემატურად ხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები თემებზე: “ბუღინგისა და კიბერბუღინგის წინააღმდეგ“, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით, სადამრიგებლო პროგრამაში გათვალისწინებულია თემები, რომელთა განხილვაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისკენაა მიმართული. სკოლა უზრუნველყოფს, როგორც მოსწავლეთა უსაფრთხოებას ასევე, აღნიშნულ საკითხზე მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან მუშაობს. მაგალითად, 2024 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით სკოლაში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა X-XI კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლის მომსახურე პერსონალის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ორგანიზაციას განხორციელებული აქვს არაერთი აქტივობა. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია მანდატურის სამსახურისა და ფსიქო-სოციალური მომსახურეობის ცენტრის შესახებ, რომელთა ცხელი ხაზის ნომერი განთავსებულია სკოლაში, სართულებზე თვალსაჩინო ადგილას. ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეფერირების პროცედურების განხორციელების მიზნით, სკოლაში დამტკიცებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (ბრძანება N2-12). აღნიშნული დოკუმენტების რეალობაში გამოყენებაზე მეტყველებს დირექციასთან გასაუბრებისას გამოკვეთილი მაგალითები, როდესაც სკოლას მანდატურის სამსახურის გავლით ორჯერ მიუმართავს ფსიქო-სოციალური მომსახურეობის ცენტრისთვის; სახელდება რეფერირების მაგალითებიც; სოციალურ მუშაკებთან აქტიური თანამშრომლობის გამოცდილება. სადამრიგებლო პროგრამებში გათვალისწინებული კლასის საათების თემატიკა ეხება კლასის საათის მოსწავლეებთან ტოლერანტობის, ძალადობის, ბულინგის თემების განხილვას. ემოციური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების საკითხები ასახულია საგან სამოქალაქო განათლებისა თუ მე და საზოგადოების კურიკულუმებში. სკოლის მხრიდან ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტებად ინკლუზიური გარემოს შექმნა სახელდება. სკოლაში სწავლობს 14 სსსმ მოსწავლე, ინკლუზიური განათლების მიმართულებით სკოლაში დასაქმებულია 2 სპეციალური მასწავლებელი და 3 სსსმ მოსწავლის ასისიტენტი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლაში სსსმ საჭიროების მქონე მოსწავლეების ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. ამჟამად ერთ-ერთ სსსმ მოსწავლის დასკვნაში აისახა ფსიქოლოგის საჭიროებაც, ამიტომ სკოლა ახალი სასწავლო წლიდან აპირებს შესაბამისი კადრით უზრუნველყოფას. აღნიშნული ნაბიჯების უწყვეტობა, ფსიქოლოგიურ-ემოციური უსაფრთხო სასკოლო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში სკოლის მხრიდან მაღალ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

ხელშეკრულებების შემოწმებით დგინდება, რომ სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი. სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში არსებობს გამიჯნული საპირფარეშოები ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის. პირველ სართულზე არის ადაპტირებული ტუალეტი. საპირფარეშოები უზრუნველყოფილია წყლის, განათებისა და განიავეების უწყვეტი მიწოდებით, ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდით, თხევადი საპონით, ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცებითა და ნარჩენების კალათით). სკოლაში გამოკრული დასუფთავებისა და მისი მონიტორინგის განრიგი, აღნიშნული მეტყველებს, რომ

სისტემატურად ხდება დასუფთავების შემოწმება. საკლასო ოთახები და სკოლის საერთო სარგებლობის ფართები სუფთად გამოიყურება, რაც მნიშვნელოვნად ხელსაყრელ დასუფთავებასა და განთავსების პრაქტიკაზე. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ფანჯარა, რომელიც იხსნება. სკოლაში სადებიზინფექციო საშუალებების შენახვა/დასაწყობება უზრუნველყოფილია სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში, იგი ხელმისაწვდომია მხოლოდ მასზე პასუხისმგებელი პირებისთვის. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ნაგვის ურნები, სატერფულის გახსნის ფუნქციით, რომელშიც ჩაფენილია ერთჯერადი პარკები. სკოლა სარგებლობს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით, რომლის ვარგისიანობა შემოწმებულია შესაბამისი სამსახურის მიერ. სკოლას არ აქვს წყლის რეზერვუარი, რომლის შეძენის ინიციატივასაც თავად სკოლა ასახელებს როგორც გასუბრებაში აგრეთვე ავტორიზაციის პროცესში წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში დაცულია სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემები. სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები“, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები. სკოლის მოსწავლეების და სკოლაში დასაქმებული პირების პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვს სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, საქმის მწარმოებელს, საინფორმაციო მენეჯერს და კლასის ხელმძღვანელებს. მოსწავლეების და თანამშრომლების პირადი საქმეები ინახება ადმინისტრაციის ოთახში, დაცულ კარადაში, რომლის გასაღები ჩაბარებული აქვს საქმის მწარმოებელს. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების“ მე-2 მუხლის 33 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 მარტის N332090 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანომ - ქალაქ სიღნაღის რესურსცენტრმა სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლისათვის განსაზღვრა თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების განხორციელებას.

მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას აქვს ყველა მოსწავლის მშობლისგან მიღებული თანხმობა ფოტო/ვიდეო მასალის სამუშაო სივრცეში და გამოცდილების გასაზიარებლად ციფრულ და არაციფრულ გარემოში გამოსაქვეყნებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში არსებული ინფორმაცია დაცულია და არ ხდება მათი გამჟღავნება. მოსწავლეთა და მასწავლებელთა პირადი საქმეები ინახება დაკეტილ კარადაში. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი შემუშავებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე. დოკუმენტში განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალოთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვა. სკოლის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. მოსწავლეთა პირადი საქმეები, საარქივო დოკუმენტაცია, მათ შორის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ინახება დირექტორის კაბინეტთან არსებულ ოთახსა, დირექტორის კაბინეტში განთავსებულ კარადებსა და არქივში, რომელიც იკეტება და ხელმისაწვდომი არ არის გარეშე პირებისთვის. არქივში ასევე ინახება მოსწავლეთა დაარქივებული შემაჯამებლები და მსგავსი დოკუმენტაცია. სკოლის კომპიუტერებზე დაყენებულია პაროლი. სკოლა ჩართულია საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში, ინფორმაცია და შესაბამისად მასზე წვდომა აქვთ უფლებამოსილ პირებს სისტემაში შესვლის სპეციალური პაროლის მეშვეობით. სკოლაში გამოყოფილია ინფორმაციულ ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში მიმდინარე პროცესების უსაფრთხოებისათვის რეგულარულად ხდება მონიტორინგი. შედეგების გათვალისწინებით ხდება მომავალი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმი, შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს როგორც შექმნის ასევე მუშაობის ოქმიც, რაც ადასტურებს მრჩეველთა საბჭოს სხვადასხვა საკითხებზე მუშაობას. სკოლის თვითშეფასებისა და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რომლის შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. აღნიშნულის განხორციელება ხდება სისტემატიურად და სასკოლო საზოგადოების ზეპირი გამოკითხვის

საფუძველზე. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლას ზეპირსიტყვიერად მიეცა რჩევა, რომ აღნიშნული კვლევის პრაქტიკა შესაძლოა აქციოს შეფასების მექანიზმად, რომლის ფარგლებშიც შექმნილი კონკრეტული ინსტრუმენტები მეტად გაუადვილებს მონაცემების შეგროვებას ვიდრე ზეპირსიტყვიერი გამოკითხვა თუ დაკვირვება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფიზიკური უსაფრთხოებისა და უზრუნველყოფის მექანიზმი (ბრძანება 2-12);
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა_compressed (2) (ბრძანება 2-32);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული უსაფრთხოების გეგმა;
- მიმართვის წერილი სახანძრო უსაფრთხოებაზე (MES 6 25 0000718071);
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა;
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება N2-87 (20.06.2025);
- მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ოქმი;
- დასუფთავებისა და მონიტორინგის განრიგი;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი(ბრძანება N2-09)
- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი(ბრძანება N2-42);
- პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი(ბრძანება 1/კ 95);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერის განსაზღვრის შესახებ;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა სამსართულიანია. 2022-2023 წელს განხორციელდა სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი და შენობის პირველ სართულზეა განთავსებული ადაპტირებული საპირფარეშო. მეორე და მესამე სართულზე ასევე არის საპირფარეშოები გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. სკოლას აქვს შიდა დარბაზი. პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, დამლაგებლების ოთახი, მანდატურის ოთახი, ორი საკლასო ოთახი და სივრცე ბუფეტისთვის (სამომავლოდ, რადგან ამ ეტაპზე ბუფეტი არ ფუნქციონირებს). მეორე სართულზე არის 4 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 26 ტექნიკურად გამართული ლეპტოპით (ბავშვების კლასში მაქსიმალური რაოდენობა 26 გვხდება), ერთი პერსონალური კომპიუტერით, პროექტორით და პროექტორის დაფით. მეორე სართულზე აგრეთვე განთავსებულია სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტრის და საინფორმაციო მენეჯერის ოთახები. ამავე სართულზეა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ოთახი, სადაც სკოლა ინახავს ჰიგიენურ საშუალებებს. მესამე სართულზე არის 6 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, ბიბლიოთეკა თავისი სათავსოთი და კიდევ ერთი სათავსო ოთახი. სკოლის ბიუჯეტისა და შესყიდვების დოკუმენტების შესწავლიდან ჩანს მატერიალურ-ტექნიკურ რესურსების გაუმჯობესების მაგალითები. ყველა მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი, თითოეულ საკლასო ოთახში არის ერთი ან ორი მაგნიტური დაფა. სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვა, შესვენებაზე კი - დასვენება. აღსანიშნავია სკოლის ძველი მატერიალური რესურსების ფუნქციურობა, საკლასო ოთახებში განთავსებულია ძველი თუ ახალი რუკები და სხვადასხვა თვალსაჩინოებები, რაც მეტყველებს სკოლის

მხრიდან როგორც თანამედროვე საკლასო რესურსების სიმრავლეზე ასევე, მათ მოვლა-პატრონობაზეც. სკოლა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. სკოლის ეზო სრულიად რეაბილიტირებულია. ეზოში მოეწყობილია სპორტული მოედანი, ცალკე სივრცე ტრენაჟორებით, ღია ფანჯატური დასაჯდომებით, სასმელი წყლის შადრევანი. სკოლაში ამჟამად სწავლობს 240 მოსწავლე, მათ შორის 14 სსსმ. სკოლა ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესში ასახელებს, რომ შეუძლია 350 მოსწავლის მიღება. სკოლის დირექტორი გასაუბრებაში ასახელებს 350 მოსწავლის მიღებისას რა შემთხვევაში იქნება საკმარისი სკოლის ერთ ცვლაში მუშაობა და გამოთქვამს მზაობას ორ ცვლაში სამუშაოდაც, აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეების კლასებში გადანაწილებაზე იქნება დამოკიდებული სკოლის დღის რეჟიმი. 350 მოსწავლის მიღებისთვის სკოლა ადასტურებს ინფრასტრუქტურულ თუ სკოლის კადრის მოზიდვის საჭიროებისას მზაობას. სკოლის შენობა და ეზო სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს უვადო, უსასყიდლო ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლას წარმოდგენილი აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც 2020 წლის შემდგომ არ განახლებულა. აღნიშნულ დოკუმენტში იკითხება ინფორმაცია სკოლის ტერიტორიის გარკვეული ნაწილების იჯარაზე, თუმცა ავტორიზაციის პერიოდში სკოლა ასახელებს რომ იჯარით არ აქვთ არაფერი გაცემული და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შეიცავს ძველ ინფორმაციას. ავტორიზაციის პროცესში სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან სჭირდება განახლება არა სკოლის მხრიდან არამედ საჯარო რეესტრის სამსახურიდან და ეს პროცესები საჭიროებს გარკვეულ დროს.

სკოლას მიეცეს **რჩევა**: სასურველია, სკოლამ წერილობით მიმართოს საჯარო რეესტრის სამსახურს საჯარო რეესტრის ამონაწერში ინფორმაციის განსახლებლად, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შეიცავს ძველ ინფორმაციას და სკოლის მიმართვის საფუძველზე მონაცემების განახლებაზე პასუხისმგებელია საჯარო რეესტრის სამსახური.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი(შიდა), სადაც ტარდება შიდასასკოლო და სკოლათაშორისი სპორტული აქტივობები, სპორტული მოედანი(გარე), დერეფანი, სკოლას აქვს დიდი და ლამაზი ეზო. გარემო უსაფრთხოა, მოწესრიგებული და მყუდრო. არსებული ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას ქმნის, მოსწავლეებმა სკოლის

ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლის პრაქტიკის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის სივრცე ხშირად ეთმობა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო აქტივობებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისთვის საბიბლიოთეკო რესურსების მართვას, სერვისების მიწოდებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობას დადგენილი წესების შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, შემუშავებულია ელექტრონული კატალოგი, არსებული რესურსები სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები კატალოგიზირებულია. შიდა სივრცეში განთავსებულია რესურსებით სარგებლობის წესები. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის მიხედვითაც ხდება საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება. ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება სხვადასხვა სახის სასკოლო ღონისძიებები. ბიბლიოთეკარს შედგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელების პრაქტიკაც მეტყველებს სასკოლო ბიბლიოთეკის დიდ როლზე სკოლის საზოგადოების ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებაში. სკოლის ბიბლიოთეკარის ინიციატივის ფარგლებში, მასწავლებლები და მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ ქალაქ წნორის ბიბლიოთეკასთან. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლის დათვალიერებამ გამოავლინა, რომ სკოლის მიერ ბიბლიოთეკაში სასკოლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო წესით დამუშავების პროცესი მიმდინარეობდა, ხოლო არსებული ლიტერატურული წიგნები საბიბლიოთეკო წესით სრულად იყო დამუშავებული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლას აქვს პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო, კეთილმოწყობილი რესურსოთახი პირველ სართულზე. სკოლაში სწავლობს 14 სსსმ მოსწავლე. სასკოლო საზოგადოებაში არ არის ეტლით მოსარგებლე პირი. ამასთან, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტი და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეები განთავსებულია სკოლის მეორე და მესამე სართულზე. სამომავლოდ სკოლა თვითშეფასებაში ასახელებს გარემოს სრულად ადაპტირების საჭიროებას, თუმცა ამ ეტაპზე სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის სკოლის პირველი სართულის გარდა არცერთი სართული არ არის ხელმისაწვდომი. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა და წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს რეკომენდაცია, რომ

უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით სკოლის ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა შესაბამისი ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის სკოლის პირველი სართულის გარდა თითოეული სართულის ხელმისაწვდომობა არაუგვიანეს 2027 წლის 23 ივლისისა.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლა გასაუბრებისა და სამოქმედო გეგმების ნაწილში ასახელებს, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა საჭიროებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას. აღნიშნული მიგნებების რეალიზების მაგალითებად სკოლამ წარმოადგინა შესყივების დოკუმენტი, რესურსცენტრთან მიმართვა სხვადასხვა რესურსების მოსაპოვებლად და სხვა აქტივობები. სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა კლუბებს და აქტივობებს, რომელთათვისაც ცალკე გამოყოფილად არ არის სააქტო დარბაზი, თუმცა აქტიურად გამოიყენება სკოლის საკლასო ოთახები, დერეფნები, სპორტული მოედანი თუ დარბაზი, სკოლის ეზო, კაბინეტები. სკოლას აქვს დიდი, ნათელი საკლასო ოთახები და დერეფნები, უსაფრთხო კეთილმოწყობილი ეზო, რომელშიც მოსწავლეებს და მთლიან სასკოლო საზოგადოებას ეძლევათ სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობა. ეფექტურად და მიზნობრივად ხდება სასკოლო ინფრასტრუქტურის და სივრცის გამოყენება. მაგალითად, სკოლის ეზოში ტარდება 15 სექტემბრის მოსწავლეთა საზეიმო მიღების ცერემონიალი, შემოდგომის ღონისძიება და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები. ასევე, მიზნობრივადაა გამოყენებული სკოლის დერეფნები მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისთვის. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობს სკოლის თითოეული მოსწავლე და მთლიანად სასკოლო საზოგადოება. სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები და შეუქმნას მათ კომფორტული სოციო-კულტურული სასკოლო გარემო. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აზომვითი ნახაზი;
- საბიბლიოთეკო რესურსების მართვის წესი(ბრძანება N2-05);

- წიგნების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საქმისმწარმოებელთან დადებული ხელშეკრულება;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლაში განხორციელებული პროექტების გეგმა;
- შესყიდვების დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საკმარისია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი წარმართვისათვის. სკოლის კომპიუტერული ოთახი აღჭურვილია სკოლის მიერ თვითშეფასების ფარგლებში მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობისთვის საკმარისი კომპიუტერებით. სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიებით, შემუშავებული წესის მიხედვით. სკოლამ ავტორიზაციის პერიოდში დამატებითი დოკუმენტების მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა თვითშეფასებისას ციფრული განვითარების

გეგმა. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერა-შემოწმებიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა რათა ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. სკოლაში ასევე საკმარისი რაოდენობით ხელმისაწვდომია პრინტერი და პროექტორი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სასკოლო სივრცე მთლიანად დაფარულია WI-FI -ს ქსელით. სკოლაში კომპიუტერული ტექნიკით მომსახურება თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლას შეიმუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გაიწერილი საჭიროების მიხედვით არსებული ტექნიკის გამოყენება და ცხრილის სახით გამოკრულია კედელზე. კომპიუტერული ლაბორატორიის დათვალიერება ცხადყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეუფერხებლად ხელმისაწვდომობას. ამ ეტაპზე კლასში ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით ისტ-ის გაკვეთილზე თითოეულ ბავშვს დამოუკიდებელ კომპიუტერთან მიუწვდება ხელი, ამასთან, საგან ისტისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი ასახელებს, რომ ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილებზე წყვილში/ჯგუფში მუშაობას მიმართავს. სკოლას აქვს გაწერილი საგაკვეთილო დროის მიღმა მოსწავლისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის სამუშაო განრიგი (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 13:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. შაბათს 11:00-დან 15:00 სთ-მდე). კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებულ ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია საინფორმაციო მენეჯერი, ხოლო ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის ბიბლიოთეკარი. ციფრული განვითარების გეგმა პასუხობს სკოლაში/თემში არსებულ საჭიროებებს და მორგებულია მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა საჭიროებებს საგანმანათლებლო სივრცეში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ლაბორატორია;
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები;

- ბრძანება კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის(ბრძანება 1/კ 11);
- ციფრული განვითარების გეგმა;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. საქმისწარმოების საერთო წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება, ინფორმაციის გაცემის წესი, ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესი და ა.შ. კორესპონდენციის ნაწილი მუშავდება ელექტრონულად, ნაწილის დამუშავება ხდება მატერიალურად, მაგ., ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში, რომელსაც ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ. ჟურნალები არის დანომრილი, დამოწმებული და ინახება საქმისმწარმოებელთან. სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესში იკითხება ინფორმაცია როგორც მატერიალურ ასევე ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება და კანონმდებლობით დადგენილი წესით იკინძება და ინახება საბუღალტრო დოკუმენტაცია. ადგილზე ვიზიტისას გადაიხედა თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები და მასში არსებული დოკუმენტები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლის მართვასა და საქმის წარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლა შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას აწარმოებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow მეშვეობით; მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა შესახებ მონაცემები შესულია eschool- ის ბაზაში. სკოლა იყენებს მართვის პროცესისა თუ ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის ელექტრონულ ფოსტებს (outlook, gmail), თუ ელექტრონულს

ჟურნალს. სკოლა იყენებს outlook-ში არსებული onedrive-ის დრუბლოვან სივრცეს. სკოლაში ელექტრონული საშუალებებით მყარდება ძირითადი კომუნიკაცია განათლების სფეროს სტრუქტურებს შორის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ავტორიზაციის ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი, Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალის შესახებ ინფორმაცია, გაკვეთილების ცხრილი, ინფორმაცია მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ. eschool-ის საშუალებით ხდება მოსწავლეთა მობილობა, იცვლება მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა საგნების მიხედვით, ხდება სახელმძღვანელოების შერჩევა და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. მათი მხრიდან შემოსულ დოკუმენტაციაზე რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, კერძოდ - საქმისწარმოების კანონმდებლობის შესაბამისი წესების გათვალისწინებით იცავს ანგარიშგებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდებს და პროცედურებს, და უზრუნველყოფს შესაბამის პროცესებს, შემოსულ კორესპონდენციაზე მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ ათი დღის ვადაში გასცემს შესაბამის წერილობით პასუხს. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის ანგარიშს აბარებს საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ მინისტრს, პარლამენტს. ასევე, საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს ანგარიშს. ამისთვის, დირექტორის ბრძანებით ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. სკოლა თანამშრომლობს განათლების სამისტროსთან, ხარისხის მართვის განვითარების ცენტრთან, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან. სკოლა კვარტალში ერთხელ წარადგენს დეკლარაციებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ(ბრძანება N2-26);
- 10 დეკემბრის ანგარიში;
- პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი(ბრძანება 1/კ 95);
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლის შესახებ პირველადი ინფორმაცია. ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში იძებნება ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება. ვებ გვერდზე ინფორმაცია განახლებადია (მაგ., ავტორიზაციის განაცხადის დროს შემოწმებულ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში უკვე განახლებული ჰქონდა სკოლას). სკოლას შექმნილი აქვს ფეისბუქ გვერდი („Tsnori public school N3-ქ.წნორის N 3 სკოლა“), რომელსაც მართავს საინფორმაციო მენეჯერი და განათავსებს ინფორმაციას სკოლისა და სკოლაში განხორციელებული, მიმდინარე აქტივობების შესახებ. სკოლის მასწავლებლები, საკომუნიკაციოდ იყენებენ ასევე teams-ის პლატფორმას, ელექტრონულ ჟურნალსა და კლასის დახურულ ჯგუფებს, სადაც მშობლებთან ერთად გაერთიანებული არიან კონკრეტულ კლასში შემსვლელი მასწავლებლები. ამ ჯგუფების საშუალებით მშობლებს დროულად მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომლის საშუალებითაც მშობლები ეცნობიან ინფორმაციას შვილის/მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სკოლის ელექტრონული ფოსტაა tsnori3@mes.gov.ge. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

დირექციასთან გასაუბრებისით დგინდება, რომ სკოლა ავრცელებს მხოლოდ ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელიც მიღებული აქვთ ოფიციალურად სკოლის ელექტრონულ ფოსტაზე ან ეფლოს მეშვეობით ოფიციალური სტრუქტურებიდან, განათლების სამინისტროს სიკებიდან. სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების შესახებ სანდოობაზე მეტყველებს სკოლის ფეისბუქ გვერდისა და ვებ-გვერდის მართვაზე სკოლის დირექციის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის არსებობა. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლა ასახელებს, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს აქტიურად იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. გასაუბრებისას იკვეთება სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღება-გადამუშავება-გამოყენების პრაქტიკა. მაგ., სკოლა სამჯერ ზედიზედ გახდა რაიონული ინტელექტ ჩემპიონატის „რა, სად, როდის?“ გამარჯვებული, რომლის შესახებაც გამოქვეყნდა სიახლე სკოლის სოციალურ გვერდზე. სოციალურ ქსელში გამოიკვეთა მშობელთა სურვილი სკოლის ბაზაზე ჩატარებულიყო მსგავსი აქტივობა, რაც მოსწავლეთა თვითმმართველობასთან ერთად დაიგეგმა-განხორციელდა. სკოლა ღიაა თემთან, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან კომუნიკაციისთვის და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას იყენებს სკოლის ფორმალური თუ არაფორმალური განათლების წახალისებისთვის..

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი ([სკოლის ვებ გვერდის ლინკი](http://skolebi.emis.ge)) სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge , რომლის დათვალიერებითაც ირკვევა, რომ განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე და ემთხვევა სკოლის სწავლების განხორციელების ენას (სახელმწიფო ენა-ქართული ენა).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში სკოლას აქვს ვებგვერდი რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები, სკოლის შინაგანაწესი, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია, გასაჩივრების მექანიზმები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ ინფორმაცია იკითხება „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში“, ხოლო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების განთავსებას სკოლა აპირებს ეტაპობრივად). სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით ქართული ქორეოგრაფიული ცეკვის წრე. სკოლას მიეცეს **რჩევა**: სასურველია, სკოლამ ვებ-გვერდზე განათავსოს ქართული ქორეოგრაფიული ცეკვის წრის, როგორც დამატებითი სერვისის მიწოდების შესახებ ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირის;
- სკოლის ვებგვერდის ლინკი ([სკოლის ვებ გვერდის ლინკი](#));
- Facebook სოციალური გვერდი (Tsnori public school N3-ქ.წნორის N 3 სკოლა);

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

თვითშეფასების პროცესში დამატებით დოკუმენტაციად სკოლამ წარმოადგინა მოქმედი ბიუჯეტი. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა სახელმწიფო დაფინანსება, ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს. სკოლას აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან/საკუთარი შემოსავლებიდან - ფასიანი სწავლებიდან მიღებული შემოსავალი (ცეკვის წრე). სკოლის თვითშეფასებიდან ჩანს რომ სკოლას გააჩნია კომერციულ ბანკში არსებულ ნაშთზე დარიცხული პროცენტები (2024 წლის 21 ივლისამდე), რომელიც სახაზინო მომსახურებაზე გადასვლის შემდეგ კომერციულ ბანკში არსებულ ნაშთზე პროცენტი აღარ ერიცხება. სკოლის ბიუჯეტი მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. სკოლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შესწავლიდან დგინდება რომ ორგანიზაცია ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ბიუჯეტირების პროცესი დინამიურია, საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძლებელია ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, რასაც ადასტურებს ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილების მაგალითები/მტკიცებულებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის საჭიროებების მოკვლევა და განსაზღვა (რაც ბუღალტერთან გასაუბრებით დგინდება, რომ ძირითადად

სამოქმედო გეგმის მიხედვით ხორციელდება). წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. სკოლა წლის ბოლოს ფაქტობრივ ბიუჯეტს ადარებს საპროგნოზოს და რეალისტურად გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს, რომელიც ყოველწლიურად მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. სკოლის ბიუჯეტში გათვლილია სავარაუდო შემოსავლები, სავარაუდო ხარჯები, სავარაუდო პოლიტიკა და კალენდარი. სკოლაში მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი სისტემატურად მიმდინარეობს, ხდება მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირება. წარმოებს ანგარიში სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი დანართი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის ცვლილებაზე;
- შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ(ბრძანება 1/კ-51);
- სკოლის ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიების დაცვის მიზნით შექმნილია სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, ასევე მის მიერ ამ მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გასატარებელი დისციპლინური ღონისძიებები და მისი უფლებები დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში. სკოლის შინაგანაწესი ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ასევე მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით სკოლა ეყრდნობა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ხელმძღვანელობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით. მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობაზე მეტყველებს სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული შინაგანაწესი. გარდა ამისა, სკოლას ვებ-გვერდზე ატვირთული აქვს აღნიშნული მიმართულებით დოკუმენტაცია. მშობლებთან, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ასევე, კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება საკლასო / მშობელთა კრებებზე. როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულება შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. პროცესების გამჭვირვალობას უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და სკოლაში დასაქმებული პირები. სკოლაში დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი, რომელთა შემადგენლობაში მასწავლებლებთან ერთად მშობლები და მოსწავლეები არიან. გარდა ამისა, კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებთან დაკავშირებული ინფორმაციის,

ასევე, სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ მონაცემების მიწოდებას მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

სკოლას მოსწავლის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა კანონიერი ინტერესები და საჭიროებები. ვიზიტის დროს შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ და გადამოწმებულ თითოეულ ხელშეკრულებას გააჩნია შესაბამისი რეკვიზიტები (თარიღი, ნომერი), დადასტურებულია მხარეთა ხელმოწერებით, განსაზღვრულია ხელშეკრულების ვადა, გათვალისწინებულია ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და პირობები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ- სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლასა და მშობლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N2-17 /25.03.2025);
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (დირექტორის ბრძანება N2-41 /23.04.2025);
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების / საჩივრის განხილვის პროცედურა (დირექტორის ბრძანება N2-20 /26.03.2025)
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ვებგვერდი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან - კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურებების სახეები, პროგრამები, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლაში განცხადებები პროგრამების, სერვისების, აქტივობების რესურსების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად განთავსებულია საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ფეისბუქ გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით. აღნიშნულ რესურსებსა და ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება სასკოლო თემის ყველა სუბიექტს.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლას ჰყავს ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც ინფორმაციას აწვდიან სკოლის საზოგადოების ოფიციალური პირები, დირექცია, კლასის დამრიგებლები, საგნის მასწავლებლები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია არის კანონიერი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის 2025 წლის 22 აპრილის N2-39 ბრძანება „სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო საჯარო სკოლის გამოცემული ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვისა და ამორიცხვის შესახებ;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო საჯარო სკოლის ელექტრონული ბაზები (Eflow-სა და Eschool-ის ბაზები);
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ვებ-გვერდი;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრებების ოქმები;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 22 აპრილის N2-38 ბრძანება „სკოლის ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც დეტალურად აღწერს ადაპტაციის პრინციპებსა და მნიშვნელოვან ფაქტორებს. წარმატებული ადაპტაციის ნიშნებს. ადაპტაციის წესი მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციას, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის ადაპტაციას. ამ წესის მიხედვით, მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ ტრანზიციის გეგმა. ასევე, მასწავლებლები სხვადასხვა აქტივობებითა უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ადაპტაციას, ხოლო სსსმ მოსწავლეთა შემთხვევაში დამატებით პროცესში ერთვებიან სპეციალური მასწავლებლები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა სასკოლო გარემოსთან შეგუებისა და სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სადაც ასახულია ის ნაბიჯები, რომელთაც სკოლა გეგმავს პირველ კლასში მოსწავლის მიღებისას, მოსწავლეთა მობილობის წესით ჩარიცხვისას, სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, ასევე იმ მოსწავლეთა დროულად გამოვლენისა და საჭიროებების განსაზღვრისას, რომელთაც აღენიშნებათ გარკვეული ტიპის სირთულეები სასწავლო პროცესსა თუ სოციალურ ინტეგრირებაში. ადაპტაციის წესში გაწერილია დამრიგებლის, საგნის მასწავლებლის, მშობლის ფუნქცია მოსწავლეთა ტრანზიციის პროცესში, გათვალისწინებულია მხარდამჭერი მექანიზმები, სასკოლო კულტურის გაცნობის მიზნით დაგეგმილი აქტივობები (მაგალითად: პირველ კლასში შემსვლელთათვის წინასწარი ვიზიტი სკოლის გასაცნობად; სსსმ მოსწავლის სირთულეების ადრეული იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში სათანადო სპეციალისტის მობილიზება; მობილობის წესით ჩარიცხული მოსწავლის შესაბამისი კლასის ქცევის წესებისა თუ სასკოლო ცხოვრების ტენდენციების გაცნობა საკუთრივ მოსწავლეთა მხრიდან).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში ვიზიტისას დირექციასთან გასაუბრების პროცესში და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხადრატორის მიზნით სკოლა საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს, განსაზღვრავს ინტერვენციის ფორმებს. სკოლა სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასებისა და იყენებს თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტებს, მასწავლებლის წერითი თუ ზეპირი

უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს სწავლასა და შედეგების გაუმჯობესებაში. მოსწავლეებს სემესტრული თუ ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მეცადინეოები. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლისა და მისი მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები. მნიშვნელოვანი ფაქტორია ელექტრონული ჟურნალის არსებობა, რომელიც ხელს უწყობს მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის დროულ ინფორმირებას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შედეგების რეგულარული განხილვა საგნობრივ კათედრებზეც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. გარდა ამისა, დამრიგებელი წლის დასაწყისში ყველა მოსწავლესა და მშობელს აცნობს სასკოლო დოკუმენტაციას, კანონმდებლობას და შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული

უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მაგალითად, სკოლის ექსტერნის, სემესტრული გამოცდების თუ საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს. წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე. უტარდებათ კონსულტაციები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ვიზიტის დროს სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას ირკვევა სწორედ მოსწავლეთა ინიციატივების გათვალისწინებით სკოლა მათ სთავაზობს სხვადასხვა კლუბს, საგანმანათლებლო პროექტს, ასევე სასკოლო კულტურის ხელშეწყობის მიზნით, ხშირად საშუალო საფეხურის მოსწავლეები თანამშრომლობენ საბაზო და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან და ახოციელებენ სხვადასხვა პროექტს. სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს დებატების კლუბი, რომელიც, თავის მხრივ გეგმავს მრავალფეროვან

აქტივობებს. ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების ქსელის ფარგლებში სკოლაში შექმნილია კლუბი „ევრიკა“, რომელიც მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში. ასევე სკოლის შენობაში განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული სკოლამდელი სასკოლო მზაობის ჯგუფი. მასწავლებლების ინიციატივით პროგრამის აღსაზრდელების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას
სკოლაში არსებობს სხვადასხვა მექანიზმებით (კითხვარი, უშუალო კომუნიკაცია) მოსწავლეთა და დაინტერესებულ პირთაგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. სასწავლო პროცესში ჩართული პირების ინტერესების გამოკვეთა და მათი ინიციატივების მიღება ხდება აგრეთვე მშობელთა კრებებზე. უკუკავშირის შედეგად იგეგმება და ხორციელდება პრობლემური საკითხების მოგვარებისა და არსებული მექანიზმების გაუმჯობესების შესაბამისი გზები. საგაკვეთილო პროცესისა თუ სხვადასხვა კონკრეტული აქტივობების შესახებ მოსწავლეთა მოსაზრებებს აკვირდებიან მასწავლებლები და ითვალისწინებენ მომსახურების გაწევისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ დირექტორის 2025 წლის 03 აპრილის N2-25 ბრძანება
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ელექტრონული ჟურნალი;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ფეისბუქგვერდი;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის დებატების კლუბის დებულება;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მიერ შედგენილი კითხვარები მოსწავლეთა მშობლებისათვის;
- ინტერვიუ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლაში სასწავლო და მიმდინარე პროცესებთან არსებულ სიახლეებს მოსწავლეებს აცნობს კლასის დამრიგებელი, ამასთან დაკავშირებით ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, შეხვედრის ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან სიახლეებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

აღნიშნული მიმართულებით აქტიურად ჩართულები არიან კლასის დამრიგებლები და ისინი პერმანენტულად აწვდიან ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ მოსწავლეებს, მათი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. ინფორმაცია ასევე ვრცელდება სკოლის სოციალურ გვერდებზე და საკლასო შეხვედრებზე. შესაბამისად, მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლა გეგმავს თანამშრომლობითი მემორანდუმების გაფორმებას სხვადასხვა უნივერსიტეტთან და კოლეჯთან. აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში, აგრეთვე სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მოწვევას, ონლაინ ფორმატში შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება, ასევე სკოლის მოსწავლეების ვიზიტს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში. სიტუაციის (სკოლის პირველადი ავტორიზაცია) ანალიზის შედეგად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის კლასის დამრიგებლის პროგრამები;
- ინტერვიუ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. სკოლაში დასაქმებულია ორი სპეციალური მასწავლებელი, შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 14 სსსმ მოსწავლე. მოსწავლე. სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლას აქვს რესურსოთახი, ჰყავს ორი სპეციალური მასწავლებელი და სამი ასისტენტი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული. სსსმ მოსწავლის / მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმები. აღნიშნული მოსწავლეები აქტიურად ჩართულები არიან

სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს ფსიქოლოგის საშტატო ერთეულის დამატებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (დირექტორის ბრძანება N2-41 /23.04.2025);
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის სსსმ პირისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების მექანიზმი (დირექტორის ბრძანება N2-17 /25.04.2025);
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის რეგულაციები (დირექტორის ბრძანება N2-35 /17.04.2025);
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინტერვიუ სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის სპეციალურ მასწავლებლებთან;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში“ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით მოსწავლეებს სთავაზობს სატრანსპორტო მომსახურებას და კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით

სისტემატურად ახორციელებს მომსახურების მონიტორინგს. ასევე არასავალდებულო სახით სკოლა მოსწავლეებს ფასიანი წრის სახით სთავაზობს ქორეოგრაფიულ სწავლებას. შესაბამის მასწავლებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლაში დამატებითი არასავალდებულო მომსახურება, შეთავაზებული ფასიანი ქორეოგრაფიული წრის სახით, ხორციელდება ნებაყოფლობის პრინციპით, მოსწავლის მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ინფორმაცია არასავალდებულო ფასიანი მომსახურების თაობაზე შეტანილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შესაბამისი წესით შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

სკოლის მიერ შეთავაზებული სატრანსპორტო მომსახურება „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება კანონის დაცვით. სატრანსპორტო საშუალება გამართულია და მძღოლთან გაფორმებულია შესაბამისი მომსახურების ხელშეკრულება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორსის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორსის N3 საჯარო სკოლის სატრანსპორტო მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის 2025 წლის 24 აპრილის N2-43 ბრძანება;



- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორსის N3 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ფასიანი მომსახურების გაწევის მიზნით ქართული ქორეოგრაფიული ცეკვის წრის შექმნის შესახებ დირექტორის 2024 წლის 01 ოქტომბრის N1/კ-43/ა ბრძანება;

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია საგნობრივი კურიკულუმების აგების პრინციპები და ორიენტირები, გათვალისწინებულია თანამედროვე საგანმანათლებლო პარადიგმის რეალიზების შესაძლებლობები, გამოკვეთილია ფუნქციები და პასუხისმგებელი პირები;

რჩევა: სასურველია გაიწეროს სასწავლო წლის განმავლობაში რა ფორმითა და ინტენსივობით მოხდება სასკოლო პრიორიტეტების განსაზღვრა; დაზუსტდეს მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული ზოგადი ჩანაწერები სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით; ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმებში სწავლა-სწავლების მიზნებისა და სასწავლო პროცესის აღწერაში, ჩანს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და მათი რეალიზების/ყოველდღიური სასწავლო პროცესთან დაკავშირების მექანიზმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის განვითარებას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით სკოლას წარმოდგენილი აქვს დამრიგებლის წლიური გეგმა, კათედრის დებულება, კათედრის სამოქმედო გეგმა. ვიზიტის დროს წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, მშობელთა კრების ოქმი, (მეორე

უცხოური ენის არჩევის შესახებ) რომელთა საფუძველზეც იკვეთება სასკოლო საზოგადოების წევრების კომუნიკაცია სკოლასთან და მათი ინტერესების გათვალისწინება. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. (საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა, სხდომის ოქმები) მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სოციალური მედია, სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფები, საჯარო ღონისძიებები, ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოების წევრებთან. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მკაფიოდ გაიწეროს გაზიარების სხვადასხვა ფორმა და ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ წარმოაჩენდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები საკუთარ საქმიანობას უკავშირებენ

კურიკულუმსა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილ მასალას და აქვთ მიკუთვნებულობის განცდა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა (დირექტორის ბრძანება N2-30 /15.04.2025);
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დირექტორის ბრძანება N2-11 /17.03.2025)
- სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები (ვიზიტის პერიოდში);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები (ვიზიტის პერიოდში);

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტის შესაბამისია, თითოეულის განხილვისას ჩანს, რომ კათედრა მუშაობს შეთანხმებულად. მოცემული დავალებები არის საინტერესო და მრავალფეროვანი; ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სასურველია, თითოეულ კურიკულუმს თან ჰქონდეს დართული კონკრეტული დავალების/დავალებების სამიზენე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შემუშავებული შეფასების რუბრიკა შესაბამისი კრიტერიუმებით. საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩო მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ, ზოგიერთი კომპონენტი ყველგან არ გვხვდება; ასევე სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას საბაზო და საშუალო საფეხურზე საგნობრივი
--------------------------------	---



	ჯგუფის სამივე საგანში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ წარმოადგინა ყველა კლასის სასწავლო წლის განმავლობაში გაწერილი კურიკულუმის ჩარჩო თემატური ერთეულების მიხედვით სამივე საფეხურზე. კურიკულუმის ანალიზისა და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ კათედრას გააზრებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების ხედვა და შეუძლია დაანახოს მოსწავლეთა განვითარების ეტაპობრივი სვლა. შუალედური მიზნები დაფუძნებულია ასაკობრივი თავისებურებებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებაზე, რაც ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას და უზრუნველყოფს მათი მაქსიმალური ჩართულობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში. კათედრა გეგმავს წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით მოსწავლეებისთვის კომპლექსური ტიპის დავალებების შეთავაზებას, რომლებიც შეირჩევა მათი ინტერესებისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს საგნობრივ სწავლებასა და უნარების განვითარებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო გაწერილი მთელ სასწავლო წელზე თემების მიხედვით. კურიკულუმის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ კათედრას აქვს ხედვა თუ როგორ განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. შუალედური მიზნები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს მოტივაციის ზრდას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში. კათედრა გეგმავს წინა წლების გამოცდილების საფუძველზე მოსწავლეებს შესთავაზოს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.



	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სამივე საფეხურისათვის შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია კომპლექსური ტიპის დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია თემები, რომლებზეც მუშაობს კათედრა, წარმოდგენილია შემოქმედებითი (კომპლექსური) ბუნების დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას რაიმე კონკრეტული პროდუქტის სახით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: ქვესაკითხები და ქვეცნებები არაა საჭირო კურიკულუმში მე-2 კლასი: მიეთითოს ძირითადი სახელმძღვანელო; დავალების იდეაში პირობა ჩაიწეროს კრიტერიუმებამდე; საკითხთა კლასტერს დაერქვას ტექსტი და კონტექსტმაგალითები (კონტექსტმაგალითების გრაფაში მითითებულია საკითხი და საკითხთა კლასტერში - კონტექსტმაგალითები). შესაბამისად, შეიცვალოს გრაფების სახელები; ტექსტისა და



კონტექსტმაგალითების გრაფაში გამოიკვეთოს რომელია ძირითადი ტექსტი და რომელი-დამატებითი კონტექსტმაგალითი; რესურსებში მითითებულ ბმულს ახლდეს სათაური იმისა, რასაც უთითებენ.

მე-3 კლასი: საკითხებში უნდა ეწეროს მხოლოდ ის, რაც მუშავდება დავალებში; რაც წერია საკითხებში-ტექსტები, კონტექსტმაგალითები, გადავიდეს ტექსტებისა და კონტექსტმაგალითების გრაფაში; დავალების იდეაში პირობა ჩაწერონ კრიტერიუმებამდე; რესურსებში ჩაიწეროს ბმულები, სადაც იძებნება ვიდეოები, ილუსტრაციები, ტექსტები;

მე-4 კლასი: ფაქტობრივად წიგნის სარჩევს წარმოადგენს; აკლია საკითხის, დავალების პირობის გრაფები. კონტექსტმაგალითები ხან რესურსებში წერია, ხან-კონტექსტმაგალითის გრაფაში

მე-5 და მე-6 კლასები: საკითხში (კლასტერი არაა საჭირო) უნდა დაიწეროს ის, რაც წერია კონტექსტმაგალითის გრაფაში; დავალების იდეაში - დავალების პირობა ე.წ. კრიტერიუმებამდე/მითითებებამდე.

მე-7 კლასი: საკითხში (კლასტერი არაა საჭირო) უნდა დაიწეროს ის, რაც წერია კონტექსტმაგალითის გრაფაში; დავალების იდეაში - დავალების პირობა ე.წ. კრიტერიუმებამდე/მითითებებამდე; იქ, სადაც მუშავდება ე.წ. შემოქმედებითი დავალება, მხოლოდ ის ცნებები იწერება, რომლებიც აქტიურდება/მუშავდება კონკრეტულ დავალებაში და არა-ყველა.

მე-8 კლასი: ცნებების გრაფაში ცნებათა დასახელება იწერება ისე, როგორც სტანდარტშია მოცემული; იწერება მხოლოდ ის ცნებები, რომლებიც მუშავდება კონკრეტულ დავალებაში; დავალების იდეაში იწერება დავალების პირობა ზუსტად ისე, როგორც ეძლევა მოსწავლეს, მაგ. ილია ჭავჭავაძის ლექსების: „პოეტი“, „ჩემო კალამო“ და აკაკი წერეთლის ლექსის „ხატის წინ“ მიხედვით დაწერეთ ანალიტიკური ესე პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ.დავალების იდეაში იწერება დავალების პირობა ზუსტად ისე, როგორც ეძლევა



	მოსწავლეს, მაგ. ილია ჭავჭავაძის ლექსების: „პოეტი“, „ჩემო კალამო“ და აკაკი წერეთლის ლექსის „ხატის წინ“ მიხედვით დაწერეთ ანალიტიკური ესსე პოეტისა და პოეზიის დანიშნულების შესახებ. თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები ტექსტებიდან. საკითხის გრაფაში დაიწერება - ანალიტიკური ესსეს დაწერა. მე-9 კლასი: რაც წერია კონტექსტმაგალითის გრაფაში, უნდა ეწეროს საკითხის გარდა (კლასტერი არა საჭირო); დავალების იდეაში იწერება დავალების პირობა ზუსტად ისე, როგორც ეძლევა მოსწავლეს (იხ. ნიმუში ზემოთ); იქ, სადაც მუშავდება ე.წ. შემოქმედებითი დავალება, მხოლოდ ის ცნებები იწერება, რომლებიც აქტიურდება/მუშავდება კონკრეტულ დავალებაში და არა-ყველა. მე-10, მე-11, მე-12 კლასებში იგივე რჩევები, რაც საბაზო საფეხურზე. კათედრასთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მომავალში კურიკულუმის შედგენისას რჩევები გაითავალისწინებული იქნება. დამატებით გამოგზავნილ ნიმუშში მეტ-ნაკლებად ასახულია.
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შერჩეული კომპლექსური დავალებები არის თემის და კლასის, მოსწავლის ასაკის შესაბამისად შერჩეული. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სასურველია ერთი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის სტრუქტურა იყოს ერთნაირი და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები.



სპორტი	სამივე საფეხურზე - შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ესგ-ის გრძელვადიან მიზნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული კომპლექსური დავალებები და აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის ცენტრში და ამასთანავე, საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ ემოციები და ინტერესები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სამივე საფეხურის კურიკულუმები სასურველია გაიმართოს ვიზუალურად. კერძოდ, ზედმეტი სვეტები და გვერდის მაშტაბები მოწესრიგდეს იმგვარად, რომ კურიკულუმი გახდეს მეტად აქმადი.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (I – IV კლასი) წარმოდგენილი კურიკულუმები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში ჩანს ისეთი დავალებები (მათემატიკა–მათემატიკური სახლის ბინადარი; ქართული–წიგნის შექმნა; მე და საზოგადოება–ფოტო–კოლაჟის შექმნა, ბუკლეტის დამზადება; ბუნებისმეტყველება – კომიქსის შექმნა, ცდის ჩატარება), აქტივობები და რესურსები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, დამოუკიდებელი აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სასურველია, თითოეულ საგანში შემოქმედებითი დავალების განხორციელების ეტაპები, სადაც ჩანს გამოყენებული აქტივობები, თან ერთვოდეს კურიკულუმების ჩარჩოს. ბუნებისმეტყველების მესამე და მეოთხე კლასის კურიკულუმის თემების გაწერისას იხელმძღვანელონ სტანდარტით; მათემატიკის პირველი კლასის კურიკულუმის ჩარჩოს დაამატონ თემების სვეტი; ქართულისა და მე და საზოგადოების კურიკულუმის ჩარჩოს დაამატონ რესურსები და ქვეცნებები.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ჩანს მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ფოტო-მასალიდანაც. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით წარმოდგენილი სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მტკიცებულებებით ასახავს, რომ თითოეულ საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვა ეფუძნება საგნობრივ შედეგებსა და შესაბამის გრძელვადიან მიზნებს. ძირითადად, მკაფიოდ არის გამოკვეთილი, რომ სასწავლო პროცესი სტრუქტურირდება საფეხურების მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად და თემატური ბლოკების ფარგლებში მუშავდება ეროვნული გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მათი ქვეცნებები და შესაბამისი შედეგები. თითოეული თემატური ბლოკი მჭიდროდ უკავშირდება ეროვნული გეგმის მიზნებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმები (პირველ და მეორე უცხოურ ენებში) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად თემატური ბლოკების ფარგლებში, სადაც მუშავდება საფეხურის შედეგი, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი სამივე საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდება ინდიკატორთან შესაბამისობა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	კათედრა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გამოკვეთს ისეთ თემატიკას, რომელზე მუშაობაც ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითობის უნარების განვითარებას. ამაზე მეტყველებს ყველა კლასში მრავლად დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში შერჩეული კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის შედეგების მისაღწევი დეტალების (ცნება, კონტექტს-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - კურიკულუმები ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში სრულყოფილად იყო შევსებული ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრული საგნის სამიზნე ცნებები, ასევე თემატური მატრიცებისა და საგნობრივი/სასკოლო პროექტების არსებობა მიაწინებს, რომ სკოლა აქვს გამოცდილებაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული



	სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები. ჩანს მოსწავლის ცოდნის, უნარების და ღირებულებების განვითარება.სწავლება ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს და უზრუნველყოფს მის პიროვნულ და სოციალურ ზრდას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები არის მრავალფეროვანი, მიზნობრივი და ასაკობრივ ჯგუფზე გათვლილი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს ლაბორატორია, სადაც ცოდნის სამივე კატეგორიაზე გათვლილი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება სხვადასხვა ცდებით და ექსპერიმენტებით მოხდება, მასწავლებლები მაინც ახერხებენ საკუთარი რესურსით განახორციელონ ექსპერიმენტული მეთოდები. იყენებენ ასევე ონლაინ და მატერიალურ რესურსებს, რომლებიც მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას უწყობს ხელს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
--------------------------------	---



საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს მოტივაციის ამაღლებას მოსწავლეებში და სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსებში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, მრავალფეროვანი ლინკები და იუთუბ არხები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი რესურსები, რაც დაეხმარება მოსწავლეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევასა და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსის - სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები სკოლის სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო ენაში სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მასალას იუთუბ არხიდან, პლაკატებს, სქემებს და ა.შ. ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; რესურსების შექმნაში თავად მოსწავლეებიც მონაწილეობენ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები(გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები,



	ელექტრონული ბმულები). მათი გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. რჩევა: სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის ონლაინ თუ ფიზიკური რესურსები, რომლებსაც იყენებდნენ გაკვეთილებზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას კათედრული მუშაობის შედეგად, იმგვარად აქვს გააზრებული და შერჩეული რესურსები სკოლის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რომ მოსწავლეს ეძლევა სრულყოფილი საშუალება გააცნობიეროს სასწავლო მიზნები და მიაღწიოს იმ შედეგებს, რომლებიც განსაზღვრული და წარმოდგენილია სკოლის დოკუმენტებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებში მოცემულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე დამხმარე რესურსები (თამაშის ბმულები,



	დამატებითი სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები), რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. რჩევა: სასურველია, ქართულისა და მე და საზოგადოების კურიკულუმს დაემატოს რესურსები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
--	---

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეებზე ორიენტირებული, კურიკულუმები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში შეარჩიოს დავალების შესრულების ფორმა. შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებები, არის მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენების პრაქტიკა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე მოიცავს მრავალფეროვან, მოსწავლეზე მორგებულ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მათი აქტიური ჩართულობის გაზრდასა და საგნობრივი ცოდნის ეტაპობრივად განვითარებას. სასწავლო დავალებები გათვლილია არა მხოლოდ მოსწავლის ინტერესებზე, არამედ მათი უნარების გაძლიერებაზე, რაც ამაღლებს მათი ჩართულობის ხარისხს და სწავლების ეფექტურობას. ინტერვიუების ფარგლებში პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აქტიურად ეხმაურებიან მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს – საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ დაგეგმილი



	აქტივობების შინაარსობრივ ან ფორმატულ ცვლილებებს, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და სთავაზობენ კრეატიულად მოდიფიცირებულ რესურსებს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესზე დაფუძნებულ, გრძელვადიან ჩართულობას. გარდა ამისა, ყველა საფეხურზე უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა. საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული მათთვის ადაპტირებული და მოდიფიცირებული დავალებები მოფიქრებულია კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ხაზს უსვამს ინკლუზიური განათლების პრინციპების კათედრაში სისტემურ დანერგვას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, საინტერესო და მოდიფიცირებულ რესურსებს. გარდა ამისა, სამივე საფეხურზე აქვთ სსსმ მოსწავლეებისთვის წინასწარ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და დავალებების მოდიფიცირებული ვარიანტები მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებები, რაც მათ საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას უწყობს ხელს. წლის დასაწყისში, სამივე საფეხურზე პედაგოგებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით კურიკულუმში შეაქვთ ცვლილებები, მოსწავლეებს სთავაზობენ



	დიფერენცირებულ მიდგომებს. სსსმ მოსწავლეებისთვის, საჭიროებისამებრ, შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური გეგმები, რომელთა დახვეწას და სრულყოფას გეგმავენ კომპლექსური ტიპის დავალებების მოდიფიცირების საშუალებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	კათედრა დიფერენცირებულ მიდგომებს იყენებს, რამდენადაც სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, პედაგოგები იყენებენ მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ მიდგომებს, რაც ინდ.გეგმებში აისახება. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს რომ სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, კომპლექსური დავალებების პროდუქტის შექმნის დროს არჩევანის შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს. მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ახდენენ სასწავლო აქტივობების დაგეგმვას, სასწავლო რესურსების შერჩევასა და გარემოს ადაპტირებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს დავალებების კომპლექსური ბუნება, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას გამოხატონ საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება, მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით, რადგან სკოლას აქვს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მათ შორის სსსმ მოსწავლეებისათვის მოდიფიცირებული დავალებებით მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, სკოლას აგრეთვე ამ მიზნით განსაზღვრული აქვთ სათანადო აქტივობები და რესურსები.



	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. პედაგოგთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიუების დროს ჩანდა მასწავლებლის მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს ისგ მე-5 კლასის მოსწავლისთვის. ინდიკატორი შეესაბამისობაშია სტანდარტთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, სწავლება გათვლილია ყველა მოსწავლეზე, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა თუ საჭიროებებისა. ყველა ბავშვი თანაბრად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. დიფერენცირება გათვალისწინებულია კურიკულუმებში, რადგან კურიკულუმები არის თემატური დაგეგმვის, თემად აღებულია მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ნაცნობ კონტექსტზე, რაც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის ჩართულობას. რეგულარულად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სასურველია კათედრამ შეიმუშაოს დიაგნოსტიკური შეფასებების ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს დიფერენცირებული მიდგომების რეგულარულ გამოყენებას.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე გამოიყენება განმსაზღვრელი და მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და მის შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა სწავლების პროცესში იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს, რაც ემსახურება როგორც მიმდინარე სწავლის პროცესის მართვას, ასევე მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის შეფასებას. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან – განსაკუთრებით შეფასების რუბრიკებიდან – იკვეთება, რომ კათედრას გააზრებული აქვს შეფასების ფორმების მნიშვნელობა, თუმცა ზოგ შემთხვევაში ნაკლებად აისახა მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით (ესგ) განსაზღვრული ინდიკატორები თითოეული ცნებისა და სასწავლო ამოცანის შესაბამისად. ერთ-ერთი მიზეზი, რაც ამას განაპირობებს, არის ის, რომ შემოქმედებითი ხასიათის დავალებებში შეფასების კრიტერიუმები არაა მკაფიოდ გამოყოფილი და სტრუქტურირებული. შედეგად, რუბრიკებში არ არის ნათლად განსაზღვრული, თუ კონკრეტული ცნებების ფარგლებში რას და როგორ ფასდება დავალების შესრულებისას, რაც აფერხებს როგორც თანმიმდევრულ, ისე ობიექტურ შეფასებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია კათედრამ მეტ-ნაკლებად გაითვალისწინა შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ შეფასების რუბრიკაში, რაც მიუთითებს გაუმჯობესების მზაობასა და პროცესის განვითარებაზე. ამავდროულად, მიზანშეწონილია აღნიშნული



	მიდგომის სისტემატიზაცია და ყველა სახის შეფასების ინსტრუმენტში თანმიმდევრულად დანერგვა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას სკოლა დაეყრდნოს მე-3 თაობის ესგ-ის შესაბამის ინდიკატორებს და კონკრეტული დავალების სპეციფიკიდან გამომდინარე, რუბრიკაში მკაფიოდ განასხვავოს თითოეულ ცნებასთან დაკავშირებული შეფასების კომპონენტები.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს კათედრამ ანიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების შექმნაზე და დახვეწაზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა მოსწავლეზეა ორიენტირებული. მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის ცნობილია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები. მოსწავლეებმა ყოველთვის იციან, რა კრიტერიუმით ხდება მათი შეფასება. შეფასების რუბრიკებში დეტალურადაა გაწერილი შეფასების მიზნები და კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკების შექმნის პროცესი ჩართული არიან თავად მოსწავლეებიც, რაც უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას და ობიექტურობას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



სახელმწიფო ენა	სწავლებისას კათედრა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს. წარმოდგენილ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, შეფასების რუბრიკებში, ნაკლებად იყო ასახული მე-3 თაობის ესგ-ს ინდიკატორები თითოეულ ცნებასთან მიმართებით, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ შემოქმედებითი ბუნების დავალებებში მკაფიოდ არაა გამოკვეთილი შეფასების კრიტერიუმები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ მეტად წარმოჩინდეს რუბრიკაში თითოეულ ცნებასთან მიმართებით რა ფასდება დავალებაში. შეხვედრის შემდგომ გამოგზავნილ რუბრიკაში ეს რჩევა მეტ-ნაკლებად გათვალისწინებულია.
მათემატიკა	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, შემუშავებულია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სასურველია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ნაკლებად იყოს ზოგადი ხასიათის, დაზუსტდეს თემასთან და შერჩეულ დავალებებთან მიმართებაში.
სპორტი	სამივე საფეხურზე - კურიკულუმებში გათვალისწინებულ დავალებებში ჩაშლილია გრძელვადიან სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მასწავლებელს სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების წვლილი აქვთ კარგად გააზრებული. მოსწავლეები დავალებების შესრულების შემდეგ იღებენ სიტყვიერ უკუკავშირს მასწავლებლისგან შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, რომლებიც სკულას სასწავლო თემების მიხედვით აქვს შემუშავებული.



	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებელს აქვს შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებელს ზოგადად აქვს ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ოთხივე საგანში წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების, მათ შორის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის პროგრესის დანახვას, სწავლების გაუმჯობესებას და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური განვითარების მხარდაჭერას. რჩევა: სასურველია, კათედრამ შექმნას კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესაბამისი საგნობრივი კურსკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით;



- შემოქმედებითი /შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ეტაპები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები;
- პროექტები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების სამივე საფეხურზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე, გათვალისწინებულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, წახალისებულის სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათთან ახალი ინფორმაციის გაზიარების პრაქტიკა, აქტიურად ხორციელდება არაფორმალური აქტივობები, პროექტები, კონკურსები და ა.შ. შემაჯამებელი დავალებები არის მრავალფეროვანი და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ამოცანებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერების მიმართულებით სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებსა და საგნობრივ მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ სწავლება სისტემატურად მიმდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი კომპონენტების – საგნობრივი მიზნების, თემატური ერთეულების, საკვანძო საკითხებისა და გრძელვადიანი სამიზნე ცნებების შესაბამისად. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის (მიზნები, თემატიკა, ძირითადი საკითხები და ა.შ.) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობას და მიზნობრივობას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი იმგვარადაა დაგეგმილი, რომ იგი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სწორი დაგეგმვიდან გამომდინარე სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის შედეგიანად წარმართვას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	დაგეგმილ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი ორიენტირებულია, საინტერესო გახადოს სასწავლო პროცესი მოსწავლისთვის, რათა მან საუკეთესოდ შეძლოს საკუთარი თავის წარმოჩენა და იზრუნოს თავის გონებრივ თუ პიროვნულ განვითარებაზე. დაგეგმილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები და პროექტები სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლაში სასკოლო პროცესი დაგეგმილია და სრულად შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. მასწავლებლები წლის დასაწყისში იკრიბებიან კათედრაზე და შეიმუშავენ, ცვლიან, ანახლებენ სასკოლო კურიკულუმს სასკოლო საზოგადოების საჭიროების მიხედვით და შეთანხმებული, შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის მიხედვით წარმართავენ სასწავლო პროცესს მთელი წლის განმავლობაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან გასაუბრება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმის შესაბამისად. მოსწავლე ჩართულია შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესში, სასწავლო პროექტებში. საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: სასურველია მოეწყოს კათედრის მეტი შეხვედრა და კურიკულუმების საერთო განხილვა. ეს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის მეტ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეებზე ორიენტირებულობას
--------------------------------------	--

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რაც საშუალებას იძლევა სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი ჰქონდეს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული საჭიროებები შემდგომი რეაგირების მიზნით. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია იღებდეს, ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, რევიზიის დროს, კათედრებზე შეხვედრებისა თუ თავად მასწავლებლების თვითდაკვირვების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების/მიღწევების შესწავლის, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სკოლის მიერ დადგენილ სხვა ინტერვენციებთან ერთად საფეხურის ფარგლებში გათვალისწინებული იქნას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასებები;~

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების დაწყებით საფეხურზე (I-IV) გამოიყენება განმავითარებელი, ხოლო V-VI, VII-XII კლასებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. რუბრიკების შემუშავება ხდება საგნობრივ კათედრების ერთობლივი ჩართულობით. წლის განმავლობაში ხდება მათი მოდიფიცირება და მორგება კონკრეტულ საჭიროებებზე. თითოეული მოსწავლისთვის წინასწარ არის ცნობილი თუ რა კრიტერიუმით შეფასდება კონკრეტული დავალების შესრულებისას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა სამივე საფეხურზე სისტემურად ცდილობს შეიმუშაოს და განახორციელოს შეფასების ისეთი მოდელი, რომელიც ეფუძნება სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული საგნობრივ მიზნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საკითხებთან. დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. მოსწავლეებს წინასწარ აქვთ გაცნობილი შეფასების კრიტერიუმები, რაც მათ საშუალებას აძლევს სწორად გაიაზრონ სწავლის მოლოდინები და საკუთარი პროგრესის მონიტორინგიც შეძლონ. შეფასების ეს მიდგომა ხელს უწყობს თვითრეფლექსიას, მოტივაციის ზრდას და პასუხისმგებლობის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ კათედრა ცდილობს შეფასების ყველა ფორმა იყოს მორგებული ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მეტად მოსწავლეზე ორიენტირებულობას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ჩართულობას, წაკითხულის გააზრებას, მოსმენილის გაგებას, მეტყველებას, წერის უნარებს შესასწავლ ენაზე. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმებზე და იციან, რა მოთხოვნების შესაბამისად ფასდებიან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლაში დანერგილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. ამას ადასტურებს ის, რომ ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ რამდენად მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. შეფასების რუბრიკების და კრიტერიუმების შექმნის პროცესში ჩართული არიან თავად მოსწავლეები, რას სისტემას ეფეტურს და სანდოს ხდის. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ კომენტარებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	კათედრაზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რომლებიც მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას ემსახურება. განმსაზღვრელი შეფასებით ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება ბ) მიმდინარე საშინაო დავალება გ) შემაჯამებელი დავალება. შექმნილი აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებსაც იცნობს მოსწავლე, ანუ მან წინასწარ იცის, რას და როგორ შეუფასებენ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	კათედრაზე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე.



	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან. ყველა მოსწავლეს ეძლევა თანაბარი შესაძლებლობა წარმატებისთვის. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა თვითშეფასების კომპონენტიც. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს რჩევა: იმისათვის, რომ შეფასება იყოს უფრო ობიექტური და სამართლიანი, სასურველია კათედრის ამ მიმართულებით გაძლიერებული მუშაობა, რათა მათ შექმნან უფრო მრავალფეროვანი, კონკრეტულ კომპლექსურ დავალებებსა და საკლასო აქტივობებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები, რომელიც ამავე დავალებებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს დაეყრდნობა.

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია ვერიფიკაციის მექანიზმები. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის გამოცდილება. ისინი ითვალისწინებენ დავალებების, შემაჯამებელი წერების შეფასების რუბრიკების შესაბამისობას დავალების მიზნებსა და შინაარსთან. ასევე მის სანდოობასა და გამჭვირვალობას, რაც სკოლას მტკიცებულებად უდევს საგნობრივ მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, კათედრის ოქმებსა და შეფასების რუბრიკებში. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** მკაფიოდ განისაზღვროს რა ინსტრუმენტებითაა შესაძლებელი იმის დადგენა, თუ რამდენად რელევანტურია შეფასების სისტემა და ემსახურება თუ არა შედეგების გაუმჯობესების პროცესს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „ვერიფიკაციის მექანიზმის ინსტრუქცია“ გაწერილია მტკიცებულებების შენახვის ვალდებულება 3 წლის ვადით. მტკიცებულებები სკოლაში ინახება მოსწავლეთა ნამუშევრების სახით, აგრეთვე სემესტრული და წლიური კომენტარები როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით. კათედრაზე ინახება მოსწავლეთა ნამუშევრები დამრიგებლბთა დახმარებით ხდება აკადემიური მიღწევების აღრიცხვა და შენახვა. შეფასებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციები ინახება მოსწავლეთა პირად საქმეებში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესაბამისი საგნობრივი კურსკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;

- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- შემოქმედებითი /შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ეტაპები შესაბამისი შეფასების რუბრიკებით საგნობრივი კათედრების, კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- საგნობრივი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც წარდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, სწავლების სამივე საფეხურზე სწავლების პროცესში გამოიყენება ის ძირითადი და დამხმარე რესურსი, რომლებიც კურიკულუმითაა განსაზღვრული. მასწავლებლები გრიფირებული სახელმძღვანელოების გარდა, იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსს, მოდელებს, ილუსტრაციებს, დამხმარე ლიტერატურას. კონკრეტული თემის მარტივად და საინტერესოდ აღსაქმელად, ხდება ვიდეო -რგოლების ჩვენება და მათი განხილვა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო მასალები მოიცავს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ვიზუალურ, ტექსტურ და ელექტრონულ წყაროებს, რომლებიც მრავალფეროვნების საფუძველზე შერჩეულია



	მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. რესურსების სწორი განაწილება და მათი მიზნობრივი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის, კრიტიკული აზროვნების, კომუნიკაციისა და ანალიზის უნარების განვითარებას — რაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მთავარი ამოცანაა. ეს პრაქტიკა აჩვენებს კათედრის მზადყოფნას, უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესის მაღალმოტივაციური, მულტიმედიური და კომპეტენციებზე ორიენტირებული გარემო, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით. წინასწარ განსაზღვრული რესურსების გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე კათედრაზე ეფექტურად იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ მრავალფეროვან და მოსწავლეზე ორიენტირებულ ძირითადი და დამხმარე სასწავლო შინაარსის - სასწავლო რესურსს (ელ. რესურსები, ბმულები, ილუსტრაციები, მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსები). გარდა სამინისტროს მიერ მოწოდებული ციფრული რესურსებისა, მასწავლებლები თავადაც ქმნიან სხვადასხვა სახის რესურსებს და აქტიურად იყენებენ მიზნის მისაღწევად. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, სქემებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, ელექტრონულ რესურსებს (ფილმებს, სპექტაკლების ჩანაწერებს), მოსწავლეები მონაწილეობენ რესურსების შექმნაში.



	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის ლინკებით წარმოდგენილი დამატებითი ელექტრონული რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლა აღჭურვილია მრავალფეროვანი რესურსით, რომელსაც მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. კათედრებზე მუშაობისას მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, ასახვენ მათ სასკოლო კურიკულიუმში და აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. ასევე წარმოდგენილია სასწავლო რესურსების ჩამონათვალი რასაც მასწავლებელი იყენებს საგაკვეთილო პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების დროს მასწავლებლები, ძირითად შემთხვევაში, იყენებენ იმ რესურსებს, რომლებიც კურიკულუმშია წარმოდგენილი, როგორც ძირითადს (მაგ. სახელმძღვანელოები), ისე დამხმარეს (მაგ. სამუშაო ფურცლები, ვიდეოები, ციფრული პლატფორმები). ეს რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ძირითადად, დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის შეხვედრაზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით სამივე საფეხურზე გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსები სრულ შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ საგნობრივ მიზნებთან. რესურსები შერჩეულია მიზნობრივად, თემატური ერთეულების შინაარსისა და გრძელვადიანი შედეგების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ცოდნისა და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. პედაგოგებთან ინტერვიუს ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რესურსების შერჩევის სტრატეგიები და ახასიათებთ პასუხისმგებლობით მიდგომა — განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც შინაარსის სანდოობასა და აკადემიურ სიზუსტეს, ისე მოსწავლეთა ასაკობრივი, კოგნიტური და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებას. ეს მიუთითებს რესურსების გამოყენების არა მექანიკურ, არამედ გააზრებულ და მიზანმიმართულ პრაქტიკაზე. აღსანიშნავია, რომ რესურსების შერჩევისა და ინტეგრირების პროცესში პრიორიტეტი ენიჭება მოსწავლეზე ორიენტირებულობას, თემატური მრავალფეროვნების უზრუნველყოფას და ისეთი მასალების გამოყენებას, რომლებიც ხელს უწყობს კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე არსებული დამხმარე რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებმა იციან რესურსის შერჩევის სტრატეგიები და დიდ ყურადღებას აქცევენ სანდოობას, სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია არსებული და შექმნილი დამხმარე რესურსების ვალიდაცია. ისინი სრულ შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან და



	კურიკულუმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან. რესურსი შერჩეულია მიზნობრივად თემატური ერთეულების მიხედვით. პედაგოგების მაღალი კომპეტენცია და სტრატეგიების ფლობის დონე, უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	კათედრა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სსმ მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი განმავითარებელი მასალებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	სამივე საფეხურზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება კათედრის პედაგოგების ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლას უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმები, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კათედრებზე მუშაობისას. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრავენ დამატებით რესურსებს და ასევე ერთობლივად უზრუნველყოფენ ამ რესურსების ვალიდაციასაც. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ძირითადად დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრის შეხვედრაზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
--------------------------------------	---

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სწავლების დაწყებით საფეხურზე შემუშავებულ კურიკულუმში შეტანილი დავალებების განხორციელება მასწავლებელს შეუძლია საკუთარი ძალებითაც უზრუნველყოს, კერძოდ ცდებისთვის საჭირო რესურსების მობილიზება და საჩვენებელი ცდის ორგანიზება. სკოლის გარეთა სივრცეც ძალიან კარგი საშუალებაა მარტივი კვლევების დასაგეგმად და განსახორციელებლად; რეკომენდაცია: სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ ცოდნის სამივე კატეგორიის დამუშავების შესაძლებლობა ექსპერიმენტების, ცდების, დაკვირვებების გზით. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა სკოლას ჰქონდეს სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, სადაც მასწავლებლის ზედამხედველობით და უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით მოსწავლეები ჩაატარებენ ცდებს და დაკვირვებებს, რითაც განივითარებენ სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქიმიური რეაქტივები ინახებოდეს ბავშვებისგან დაცულ, დახურულ კარადაში, რადგან მათი ამგვარი განთავსება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის არამართო მოსწავლეების, არამედ ნებისმიერი სკოლის საზოგადოების წევრის ჯანმრთელობას.
--------------------------------	---



	სკოლამ უზრუნველყოს წარმოადგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველყოფა 2026 წლის არაუგვიანეს 23 ივლისისა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართულებით სამივე საფეხურზე სასწავლო მიზნებისა და შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. აქტიურად გამოიყენება როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ისე დამხმარე ციფრული რესურსები, რომლებიც შერჩეულია საგნობრივი თემატიკისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ეს რესურსები ქმნის ერთიან, მიზნობრივად ორგანიზებულ საგანმანათლებლო გარემოს, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას ეფექტურად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა-სწავლების პროცესი, ხოლო მოსწავლეს — აქტიურად ჩაერთოს, გაიაზროს და განავითაროს ცოდნა და უნარები შესაბამისი საფეხურის დონეზე. სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება, შინაარსობრივი შესაბამისობა და ტექნოლოგიური ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისეთი უნარების ფორმირებას, როგორიცაა ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, ინფორმაციის გამორჩენა და კავშირების აგება, რაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ძირითადი მიზნების ორგანული ნაწილია. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამხმარე ციფრული რესურსების სახით, რაც საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს



ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფენ სკოლაში და კათედრაზე არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსები: გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე ციფრული რესურსები, ილუსტრაციები და სხვა. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობა თავის მხრივ საშუალებას აძლევს პედაგოგებს აქტიურად და ეფექტურად მიმართონ მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები, იქნება ეს სახელმძღვანელოები, დამატებითი საკითხავი თუ ციფრული მასალა. ამდენად, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი რესურსებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
მათემატიკა	სკოლა, სამივე საფეხურზე კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
სპორტი	სამივე საფეხურზე - სკოლა აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით რომელიც საჭიროა სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად, რომელთა დახმარებითაც მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგებს და ამ პროცესში თანაბრად ჩართონ სკოლის ყველა მოსწავლე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვლისწინებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას დასაქმებულ პირებთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულები და განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. ამასთანავე, სკოლის დირექტორს ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქცია - მოვალეობები. აღნიშნული მიმართულებით სკოლა ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს: საქართველოს შრომის კოდექსს, „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს“, ასევე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს, სკოლის შინაგანაწესსა და სხვა მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად, სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი. რომლის მიზანია, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით გაკვეთილებზე დასწრება, რეკომენდაციის გაცემა და დაგეგმვაში ხელშეწყობა. სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. აქედან გამომდინარე მათი კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება დაკავებული თანამდებობის კვალიფიკაციას და თითოეულს აქვს უფროსი, წამყვანი ან მენტორი მასწავლებლის სტატუსი. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის წარდგენისას** მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განხილვისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი, გარდა მისი საკვალიფიკაციო შესაბამისობის საგნებისა, დატვირთული იყო სხვა საგნობრივი ჯგუფის, კერძოდ, ესთეტიკური აღზრდის (საგანი: მუსიკა) 2 საათით. სკოლის განმარტებით, ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სხვა მასწავლებლების საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, მათივე სურვილით, აღნიშნული 2 საათი გადაეცა დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს დადგენილი წესით ვაკანსიის გამოცხადების

გარეშე. სკოლას განხორციელებული არ ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები საგნობრივ ჯგუფში ესთეტიკური აღზრდა შემავალი საგნის „მუსიკა“ (2სთ) საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ აღნიშნული საკითხის გათვალისწინების მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც 2025 წლის 24-27 ივნისის ფარგლებში დაგეგმა სკოლაში აღნიშნული საათების განაწილება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებზე. ასევე, შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის შესრულების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი (2025 წლის 27 ივნისი), რომლის თანდართულ 2025-2026 სასწავლო წლის საათობრივ ბადეშიც მასწავლებლების დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესაბამისი საგნობრივი კურსკულუმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები
- საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული აქტივობების გეგმა კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- საგნობრივი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები კლასებისა და საფეხურების მიხედვით;
- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კათედრების სამუშაო სხდომის ოქმები;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები;
- სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- სკოლის ვებგვერდი;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;
- სსიპ - ქალაქ წნორის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 (27 ივნისი 2025 წელი).

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მეთოდოლოგია, სადაც გამოკვეთილია სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა; მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოების მხრიდან მონიტორინგისა და შეფასების სისტემა აღქმულია მხარდაჭერის მექანიზმად და სკოლაში შეფასების შედეგად მიღებული მასალები პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისათვის გამოიყენება. **რჩევა:** სასურველია მეთოდოლოგიაში კონკრეტულად აისახოს ის მექანიზმები /ინსტრუმენტები, რომლითაც სკოლა ახორციელებს, ან სამომავლოდ გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება (მაგალითად: დაკვირვება, გამოკითხვა, კვლევა, ინტერვიუ, SWAT ანალიზი).

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს დირექციასა და მასწავლებლებთან ინტერვიუებისას, გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის მნიშვნელობა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებისას. მონიტორინგსა და შეფასებას სკოლა ხედვის, მისიისა და ფილოსოფიის კონკრეტული მიზნების მცირე და ადვილად მართვად კომპონენტებად დაშლის საშუალებად აღიქვამს, რათა სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესში გამოვლენილი პრობლემები იდენტიფიცირდეს სწორად, დამუშავდეს მონაცემები, ურთიერთდაკავშირებული საკითხები განიხილოს სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით და თანამშრომელთა ჩართულობით განისაზღვროს შემდგომი ნაბიჯები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგს შემდგომი სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმის მოლოდინების კვლევა, ეფექტიანობის ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავებისა და ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. სკოლის დირექცია, საგნობრივი კათედრები განიხილავენ მონიტორინგის ანგარიშებს, რომელთა შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე იგეგმება რეაგირება სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის თუ სასწავლო გარემოს გაუმჯობესებისათვის გარკვეული მეთოდებისა თუ რესურსების მოძიებით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების გზით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- კათედრების სხდომის ოქმები

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მონიტორინგის პროცესში ჩართულნი არიან, როგორც კათედრის წევრები, ასევე დირექცია. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. **რჩევა:** სასურველია სკოლა მონაცემების შეგროვების პროცესს მიუდგეს მეტად სისტემურად, გამოწვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას დაეყრდნოს სხვადასხვა წყაროებსა და რესურსებს, რათა შეფასებისას მიიღოს სრული სურათი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასებას განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მასწავლებლები იყენებენ როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, მოსწავლის სწავლის პროცესზე დაკვირვებას ასევე თვითშეფასებას. შესაბამისად, მოსწავლის შეფასებისას ხდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება. ეს იქნება ინდივიდუალური მუშაობა, წყვილური თუ ჯგუფური, იქნება ეს მიმდინარე დავალება თუ შემაჯამებელი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლას დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ რა მეთოდები გამოიყენება შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის პროცესში. სკოლას აქვს პრაქტიკა, შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. სასწავლო პროცესის შეფასებისას დაკვირვება ხორციელდება დირექციის მხრიდან, მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, კათედრის საქმიანობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები, აკადემიური მიღწევების ანალიზი. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **რჩევა:** სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში გაიწეროს სასკოლო ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესების მიზნით სკოლამ გამოიყენოს საგანმანათლებლო სფეროში აპრობირებული სხვადასხვა მეთოდები: ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ანკეტირება და სხვა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების/ფაქტორების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ქმედითად ხედავს შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საჭიროებას: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. ათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია რამდენადმე ასახავს რომ მასწავლებლები სწავლების ყველა საფეხურზე იყენებენ განავითარებელ შეფასებას და მოსწავლეებს აფასებენ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვერიფიკაციის მექანიზმი

- კათედრების სხდომის ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- ინტერვიუ სკოლის დირექციასა და საგნობრივ კათედრებთან
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები
- საგნობრივი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი შეფასებები

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- o ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის დროს დირექციასა და საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სკოლას კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია აღქმული აქვს სასკოლო საგანმანათლებლო პროცესის განვითარებისა და გაუმჯობესების საუკეთესო გზა. სასურველია: მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტში გათვალისწინებული იქნას სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები, გამოწვევები, მიგნებები და რეფლექსიის შედეგები, რაც გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ სამომავლო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ვიზიტის დროს დირექციასა და საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუები ადასტურებს, რომ 2025-2026 სასწავლო წლისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შემუშავდება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია წინამდებარე გამოცდილებისა და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, საგნობრივი კათედრების კოორდინირებითა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დააკონკრეტოს რა ფორმითა და საშუალებებით მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, როგორ განხორციელდება დანერგვის პროცესის მონიტორინგი, შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დასახვეწად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ვერიფიკაციის მექანიზმი
- კათედრების სხდომის ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- ინტერვიუ სკოლის დირექციასა და საგნობრივ კათედრებთან
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 04.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ხათუნა მაჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ანა ტაბატაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნ. სპაგაძე

დარეჯან თედორაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

დ. თედოიაძე

თამარ ჩალახეშაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

თ. ჩალახეშაშვილი

თეონა ჯაფარიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

თ. ჯაფარიძე

მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

მ. ჩიტაძე

მარინე ხუციშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

მ. ხუციშვილი

მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

მ. ახალაია

საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

ს. დარსაველიძე



ნათია კოხოძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნ.კოხოძე